საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 3 მარტი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი ერთ 1 თვით 75 მანეთი, ცალკე [illegible] ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი ბოლო გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩარჩოებში ზომით 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ იბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: გრიბოედოვის ქ. 6, [illegible] მე-10-თან.

№ 50 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 50

სამხედრო სკოლის [illegible] მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 თებერვალს სამხედრო საავადმყოფოში ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე სკოლის [illegible]

ვასილი კონსტანტინეს ძე დოგორჯნიძე

დაკრძალვა მოხდა 28 თებერვალს სამხედრო სასაფლაოზე. (773 1—1)

[illegible] შვილები: ილიკო, ხანდრო, ანეტა და მარია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 4 მარტს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

თომა ხოჭოლავას

სულის მოსახსენებლად წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ქ. ფოთში. წირვა დაიწყება დილის 10 ს. პანაშვიდი 12 ს. (776 1—1)

---

26 ამა თებერვალს 1920 წ. (ახალი სტ.) გარდაიცვალა [illegible] საავადმყოფოში მოქალაქე

გრიგორი პავლეს ძე ლომაია

რომელიც გამოასვენეს ამხანაგებმა 28 თებერვალს [illegible] ქ. № 16 [illegible] 5 ს. [illegible] ამხანაგების [illegible] დაკრძალვა მოხდება ქ. ზუგდიდში. (776 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები [illegible] აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს გარდაცვალებას

სოლომონ დიანოსეს ძე ჩხაიძის

დაკრძალვა ქ. [illegible] ხუთშაბათს 4 მარტს. (783 1—1)

ღრმად დამწუხრებული [illegible] მეუღლე და შვილი [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 1 მარტს [illegible] შემდეგ გარდაიცვალა [illegible] მეუღლე და [illegible]

ოლია

დასაფლავება, [illegible] 3 მარტს ქ. მარტყოფში. (786 1—1)

ღრმად დამწუხრებული [illegible] თავისი შვილებით: [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ 1 მარტს [illegible] შემდეგ გარდაიცვალა მათი [illegible] დაუვიწყარი რძალი

ოლღა გრიგოლის ასული მგელაძე

დასაფლავება მოხდება ქ. მარტყოფში 3 მარტს. (786 1—1)

[illegible] მგელაძეები [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მათი დაუვიწყარი რძლის

ოლია მგელაძის

გარდაცვალებას [illegible] დაკრძალვა მოხდება ქ. მარტყოფში 3 მარტს. (786 1—1)

[illegible] მწუხარებით აუწყებს [illegible] მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ს. ბინაზე ([illegible] ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 ს. (ნ. 2—1)

[illegible] მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს [illegible] მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ს. ბინაზე ([illegible] ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 ს. (ნ. 2—1)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული [illegible] მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს [illegible] მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს. ბინაზე ([illegible] ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 ს. (ნ. 2—1)

[illegible] მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს [illegible] მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს. ბინაზე ([illegible] ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 საათზე. (ნ. 2—1)

საქართველოს კოოპერატიული ბანკის [illegible] მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს [illegible] მეუღლის

მარიამ ივანეს ასულის მილაშევსკის

გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს. ბინაზე ([illegible] ქ. № 9) დაკრძალვა ხუთშაბათს დილის 10 საათზე. (ნ. 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მაკრინე, შვილები იგანე, სიმონ, [illegible] შვილიშვილები [illegible] აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს გარდაცვალებას დაუვიწყარი

ონისიმე დავითის ძის გურჯულაძის

დაკრძალვა მოხდება, შაბათს 6 მარტს, (ახ. სტ.) [illegible] (793—2—1)



პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამო

სახელმწიფო თეატრში

ოთხშაბათს, 3 მარტს

ივანე გომართელი

წაიკითხავს [illegible] გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.

პოეტები, მწერლები:

აბაშელი საშა	მეგრელი დუტუ
ბარნოვი ვასილი	რუხაძე ვარლამ
გრიშაშვილი იოსებ	რამიშვილი ტრიფონ
დადიანი შალვა	ტაბიძე გალაკტიონ
დადიანი შოთა	შარაშიძე შალვა
ინგოროყვა პავლე	შიუკაშვილი ნიკო
მაყაშვილი კოტე	ქუჩიშვილი გიორგი

წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს.

ალეკო

ოპერა ერთ მოქმედებად, მუსიკა რახმანინოვისა. ბანო სარაჯიშვილის, [illegible] მონაწილეობით. დასდგამს [illegible]. დირიჟორობს [illegible]

კავალერიის განაკი

ბალეტი 1 მოქმ.

პრიმა-ბალერინა [illegible]

ბალეტ-მეისტერი [illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

დაწვრილებით პროგრამებში. (ნ. 7—5)

თელავის მომხმარებელ საზოგადოების „26 მაისის“ გამგეობა ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ ქალ. თელავში კვირას 7 მარტს [illegible] დილის 12 საათზე დანიშნულია

საერთო წლიური კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) განხილვა და დამტკიცება 1919 წლ. ანგარიშისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა; 3) განხილვა და დამტკიცება 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვისა; 4) არჩევა სარევიზიო კომისიის ერთი წევრისა, 5) [illegible] საკითხი; 6) მიმდინარე საქმეები. [illegible] (777—1—1)

ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე ნავთლუღის რაიონის მუშათა კლუბში თბილისის კომიტეტი იწვევს მუშათა და [illegible] რაიონების წევრთა

საზოგადო კრებას

რომელზედაც ამხ. ნ. რამიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლუცია“. ეს ლექცია გამეორდება [illegible] რაიონში, [illegible] მუშათა კლუბში, ამავე დღეს, საღ. 7 საათზე.

გამოვიდა გასასყიდად ახალი წიგნი ჟარიზისა

ახალი წიგნი

გამოცემა „ქართული წიგნის ამხანაგობისა“, საწყობი გამოცემისა იმყოფება: 1. ამხანაგობის სტამბაში, რუსთაველის პროსპ. № 26. 2. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში რუსთაველის პრ. და 3. წიგნის მაღაზია „ახალ სიტყვაში“ [illegible] რუსთაველის პრ. წიგნის მაღაზიებს და მყიდველებს [illegible] 50 ცალისა დაეთმობათ 20 პროც. (782—1—1)

გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის განსაკუთრებული კომიტეტის დადგენილებით დავალებული აქვს [illegible] კავშირის

კოოპერატიულ გაერთიანებას

[illegible] (გაზეთი [illegible] № 51 [illegible] 11—54) [illegible]

შემოწირულება: ტანსაცმლები და პროდუქტები მიიღება განსაკუთრებულ კომიტეტის დავალებით აქვე. (ნ. 3—3)

ს. ს. დ. მ. პ. თბილისის სამაზრო კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

[illegible] ქ. № 4. რუსთაველის პრ. № 18 შესასვლელი [illegible] „[illegible]“ [illegible] შენობაში. (ფუ. 4—3)

წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო

ამით აცხადებს, რომ მან გახსნა საკუთარ შენობაში საავადმყოფო და [illegible] ამბულატორია (26 მაისის ქ. № 60, [illegible] ქ., [illegible] № 3). ამბულატორია ღიაა ყოველ დღე დილის 10—12 საათ. [illegible] დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება [illegible] (687—6—3)

ექიმი ბ. ა. [illegible] იღებს შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, [illegible] (ნ.—თ.).

თუ გინდა რამე იცის

[illegible] მიერ [illegible]

ეფსევი ჩიქვანიას

[illegible] (729—6—3)

ბათუმის საქალაქო არჩევნები

ამჟამად [illegible] არჩევნები, რომელიც არის 29 თებერვალს დასრულებული ბათუმის ქალაქის საბჭოს არჩევნები. ბათუმი დღეს შეიძლება ითქვას, უპატრონო ქალაქია. ინგლისმა, რომლის დროებით მმართველობის ქვეშ იყო იგი, მთავარი თავისი შეიარაღებული ძალა გაიყვანა ბათუმიდან და მის ოლქიდან. საქართველოს, რომლის [illegible] ძალით მოგლიჯეს [illegible] იმპერიალისტებმა ეს მისი [illegible], ჯერ კიდევ არ [illegible] ბათუმის და მის ოლქის ბედის საკითხზე [illegible] მის ოლქზე. [illegible] ბათუმის და მის ოლქის [illegible] დაკავშირებულნი.

სწორედ ეს კითხვა იდგა ბათუმის ამომრჩევლების წინაშე 29 თებერვალს.

ბათუმის მოქალაქეთ ამ [illegible] რამდენჯერმე [illegible] გამოუთქვამთ თავისი [illegible] აზრი ამ საგანზე. [illegible] მცხოვრებთა მიერ წარსულ წლის 31 აგვისტოს [illegible] საქართველოს [illegible]

ის მიტინგები, რომლებიც ამ დროს [illegible] იმართებოდა, „ღვთის და მთელი ქვეყნის წინაშე“ [illegible]

დღეს ბათუმის მცხოვრებთ კიდევ ერთხელ ეძლევათ შემთხვევა გამოთქვან თავისი სურვილები „ღვთის და ქვეყნის წინაშე“ და ეს შემთხვევა ეძლევათ მეტად საყურადღებო მომენტში, რომლის მსგავსი იშვიათად ჰქონია რომელსამე ქვეყანას. 29 თებერვალს ბათუმის ამომრჩევლების წინაშე კითხვა ასე იდგა: რომელ სახელმწიფოსაკენ იხრება თქვენი სიმპატიები? რომელ ერთან გრძნობთ თქვენ ახლობლობას, ნათესაობას, [illegible]? და 29 თებერვლის არჩევნებით ბათუმის მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ ქვეყნის წინაშე [illegible] და საბოლოო პასუხი გასცა. არჩევნების შედეგი თითქმის მოულოდნელიც კი გახლავთ: 36 ხმოსნიდან 20 გაიყვანა ქართველ ამომრჩეველთა სიამ, 8—სომხებმა, 4—რუსებმა, 2—ბერძნებმა, 1—„ბინის გამქირავებლებმა“, 1—ებრაელებმა. [illegible] „საქართველოს [illegible]“ [illegible] ბათუმში და, მაშასადამე, [illegible] „საქართველოს [illegible]

დღეს

ინგლისური პრესის ცნობით ფინეთი და ბალტიის სახელმწიფოები დასთანხმდენ საზავო მოლაპარაკება დაიწყონ საბჭოთა რუსეთთან.

საფრანგეთში რკინის გზელთა გაფიცვა გრძელდება. ზოგიერთ ადგილებში მდგომარეობა გამწვავებულია.

უმაღლესმა საბჭომ განიხილა კილიკიაში სომხების ამოჟლეტის საკითხი.

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა; ყრილობა საბჭოთა მთავრობის პოზიციას იზიარებს.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა სამხრეთის ფრონტზე ქალაქი სტავროპოლი და სად. კავკასკაია აიღო.

ცენტრალის“ შეერთებული მოწინააღმდეგე. სხვები, ეჭვი არ არის, გამონახავენ ქართველ ხმოსნებთან თანამშრომლობის ამა თუ იმ ფორმებს. ისე, რომ ამ არჩევნების შედეგი დასკვნა ერთად ერთია: ბათუმი ქართული ქალაქია და საქართველოსთან არის მისი სული და გული. და ვინ არ იცის, რომ ბათუმის ბედს მთელი ამიერკავკასიისთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია ის პირობები, რომლებშიაც ჩატარდა არჩევნები. თვით მოსახლეობა მცირე საქართველოსკენ ვერ იტყვის, ამ არჩევნების შედეგი სწორედ არ ხატავს მცხოვრებთა სულიერ განწყობილებას: მთელს ქალაქში „წესრიგის დამცველთა“ სათავეში ძველი რეჟიმის პოლიციელები არიან; ქალაქის მეურნეთა დიდი უმრავლესობაც, საქართველოზე განაწყობილი წინააღმდეგ. მათ ხელში იყო არჩევნების მხედი და თუ მათ არჩევნების სასწორი ხელოვნურად გადახარეს რომელიმე მხარეს, ეს რასაკვირველია, საქართველოს სასარგებლოდ არ მოხდებოდა. ქართველ ამომრჩეველთა ხელში არ იყო არავითარი ფიზიკური საშუალება და იარაღი; ისინი ძლიერნი იყვნენ მხოლოდ იდეური იარაღით: თვით ხალხის თანაგრძნობით, მათ ნაციონალური და [illegible] გულებით საქართველოსაკენ.

დღეს არა ხვალ ბათუმის ბედი უნდა გადაწყდეს. და ჩვენ მერწმუნეთ გრძნობა თვის, რომ სწორედ ამისთანა მომენტში მოხდა ბათუმის საქალაქო არჩევნები, სწორედ ამისთანა დროს ხმა მაღლა მისცა ქვეყანას ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება მკაფიოა და შეუვალია:

საქართველოს ვერ შეუძლიან არსებობა უბათუმოდ და ბათუმ აჭარას ვერ შეუძლიან არსებობა უსაქართველოდ!

და ამ გადაწყვეტილების წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ყველა ძალამ, რაც უნდა ფიზიკურად ძლიერი იყოს იგი. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ევალება საქართველოს და თვით ბათუმ-აჭარის დემოკრატიას.

ბათუმის არჩევნები

კვირას, 29 თებერვალს, დაიწყო ბათუმის მიდამო ქალაქის ხმოსნების არჩევნები. იბრძოდა ექვსი სია. მართალია, აგიტაცია და კრებები აკრძალული იყო, მაგრამ ყველანი დიდის ენერგიით შეუდგნენ არჩევნებში გამარჯვებისათვის ბრძოლას, რადგან ეს არ იყო არჩევნები მხოლოდ მუნიციპალური, ეს იყო უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის არჩევნები. ამ არჩევნებზე ყველა თავის პოლიტიკურ ანგარიშს აწყობდა და მის შედეგებს ბათუმის და მისი ოლქის ბედს უკავშირებდა. ამ რიგად არჩევნებს რეფერენდუმის ხასიათი და მნიშვნელობა მიეცა და, რასაკვირველია, თუ ყველა ჯგუფი არჩევნების შედეგით მეტად იყო დაინტერესებული.

ბათუმში ამ ჟამად მრავალი ინტრიგები იყრის თავს, მრავალი პოლიტიკური კომბინაციები იხლართება და ამ ხლართების დახსნაზე და თუ კიდევ უფრო მეტად დასკვნებზე არჩევნებს შეეძლო ბევრი არაა დიდი გავლენა ექნებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველა ჯგუფი, ყველა იმედით, გადაჭარბებული აღფრთოვანებით თვალს ადევნებდა არჩევნების მსვლელობას.

არჩევნებს ბუნებამაც ხელი შეუწყო. წინა დღეების წვიმა მშვენიერმა ცხელმა მზემ შეცვალა და არჩევნებს საზეიმო ხასიათი მისცა.

ხალხში დიდი აღელვება იყო დღეს. უნდა ითქვას, რომ ქართველ ამომრჩევლებმა შეიგნეს მომენტის მნიშვნელობა და ჩვეულებრივ სიზარმაცეს თავი დაანებეს. ქალი—კაცი, ბერი და ხმის არ მქონე (მოზარდები) ყველა [illegible] აღსანიშნავია, რომ [illegible] ქართველების დიდი უმრავლესობა [illegible]. მთელი [illegible] და სხვა [illegible] ხმა არ მისცეს ხმა. [illegible] ქართველ ამომრჩევლებისა.

წესრიგს იცავდნენ ინგლისელები, თუმცა წესრიგი არავის დაურღვევია მთელი დღის განმავლობაში, პირიქით, იმდენად სიწყნარე იყო, რომ ადგილობრივმა შავი გაზეთი „ნაშ კრაი“ იძულებული გახდა ეს აღენიშნა.

არჩევნები დაიწყო დილის ცხრა საათზე, გაგრძელდა ღამის თერთმეტ საათამდე. ამ ხნის განმავლობაში ამომრჩევლები ჩამწკრივებული ერთი-მეორის უკან, გრძელი კუდით ელოდებოდნენ თავის რიგს. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ რამდენიმე საათით ფეხზე დგომას, თუ უსადილოთ დარჩენას არავინ ერიდებოდა.

არავითარი ინციდენტი იყო მხოლოდ [illegible] ხმების დათვლისას.

არჩევნების შედეგის გამოცხადებამდე ყველგან სიწყნარე იყო და მხოლოდ მთელ ქალაქს არავინ მოელოდა [illegible] გამარჯვებას.

ამ გამარჯვებამ მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. ქართველები და მისი მეგობრები დიდის სიხარულით შეხვდნენ, ჩვენი მტრები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ.

აღსანიშნავია, რომ ქართველებს თუმცა მცირეთ, არა-ქართველებმაც მისცეს ხმა.

ბათუმის არჩევნებით ერთხელ კიდევ ითქვა ავტორიტეტული სიტყვა ბათუმის ბედის შესახებ. ესაა მისი შეერთება საქართველოსთან. ეს დიდი წერტილია, და დღეს თუ ხვალ უნდა გაიგონ.

ოთხი საუკუნის წინათ ისტორიის მიერ ჩადენილი უსამართლობა—ქართველ მაჰმადიანების და ქართველ ქრისტიანების დაცილება-გადაყოლა—უნდა გასწორდეს. ამას ითხოვს ოლქი, ეს ითქვა ქალაქმა და ეს უნდა ითქვას [illegible].

განი.

თანამედროვე კითხვები

I

სოციალიზმი და სოციალისტობა.

ჩვენმა რევოლუციამ წამოაყენა მთელი რიგი ამოცანებისა, რომელიც გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა „სოციალ-დემოკრატიის საკითხები“ სათაურით. ავტორი აყენებს მეტად საყურადღებო საკითხებს. რა თქმა უნდა, ამ საკითხების ასე თუ ისე გამორკვევა საინტერესოა არა მარტო თვით ავტორისთვის. რევოლუციამ, ამიტომ [illegible] შეხედულების [illegible] და შეიტანა თავისი წვლილი იმ თეორიულ მუშაობაში, რომელსაც მოითხოვს თანამედროვე მომენტი. უნდა ითქვას კი წინდაწინვე, რომ დიდი კითხვების მეცნიერულად თავიდან ბოლომდე განხილვა შეუძლებელია პატარა გაზეთის ფურცლებზე. ამისთვის საჭიროა ჟურნალი ან თვიური, ან ორკვირეული. ჩვენ შევეცდებით, რომ ამისთანა ჟურნალი რაც შეიძლება მალე გამოვიდეს. ვეცდებით, რომ იქ თანამშრომლობდნენ ჩვენი საუკეთესო ძალები, ყველამ, ვინც ახლა ვერ იცლის ყოველდღიური გაზეთისთვის.

გაზეთი კი მონაწილეობას მიიღებს ამავე კითხვების გარჩევაში შეძლებისამებრ. ეს მეტადრე კავშირს დაიკავებს მკითხველებთან, გამოსთქვამს თავის აზრს, მოისმენს მოწინააღმდეგე აზრსაც, და აზრთა შეჯახების საშუალებით ხელს შეუწყობს გონებრივ ენერგიის გაღვიძებას.

ერთი ჩვენი დიდი მასწავლებელი გ. პლეხანოვი ხშირად აფრთხილებდა ხოლმე მოსწავლეებს,—რა დროც უნდა შეგვხვდეთ, რა პირობებშიაც უნდა მოვექცეთ, თეორიას ნუ დაივიწყებთ. მართალიც, ვერც ერთ ყოველდღიურ საკითხში გზას ვერ გაიკვლევს ვერც ერთი მუშაკი, თუ მისი საერთო მსოფლმხედველობა არ დგას შესაფერ სიმაღლეზე. ჩვენი მეთაურები ასე ვერ გაუძლებდნენ [illegible] ჩვენ [illegible] ქვეყანას ამისთანა დროს, რომ თეორეტიული [illegible] შემოკლებულიყო.

დიდი საქმეა აქ გაკეთებული ამათ ხელმძღვანელობით, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ყველა არის რაც გასაკეთებელი. დემოკრატია, როგორც [illegible] დღეს შეხედე თავის ნაკლებს, მოიწონე და მოისმინე. მუშათა კლასს, დემოკრატიას არ აქვს არასოდეს ისეთი [illegible] დღე. ის თავისი ნაკლოვანებით თავს არ იწონებს. ის, როგორც მარქსი ამბობდა, წინსვლის დროს იხედება უკან, აკვირდება [illegible] გზას, ეძებს ნაკლს, ასწორებს და ამნაირ მუშაობაში ერთ დღესაც არ ისვენებს.

ჩვენთვის ეს მოსვენება მით უფრო შეუძლებელია, რომ თანამედროვეთ [illegible] დამოუკიდებლობა გვაქვს, მართალია, მაგრამ დამოუკიდებლები ერთ მთელი ქვეყნისაგან. ამერიკული ძალებით არის შეერთებული საქართველო მთელ ამიერკავკასიელებთან. არ შეიძლება მაგალითად, რომ იქ ყოფილიყო რევოლუციამ გაიმარჯვოს, და აქ დემოკრატიული გამარჯვება ხელში შეეჩეროს. არ მოხერხდება, რომ ყველგან სოციალიზმი გამეფდეს, და ჩვენში დღევანდელი ეკონომიური ხასიათი ხელშეუხებლად დარჩეს.

საქართველოს დემოკრატიას არ დაუკარგავს კავშირი საერთაშორისო დემოკრატიასთან. აქიდან და ამიტომ საერთო კითხვები გვქონდა და გვაქვს. პირველ წლებში მე მინდა შევეხო ერთ ამისთანა კითხვას. მას აქეთ, რაც რუსეთის რევოლუცია დაიწყო, ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევს ჩვენ ფიქრს და შინაურ ამხანაგებს. რა სახის, რა ხასიათის არის ეს რევოლუცია, მიგვიყვანს აღთქმულ ქვეყნის კარებთან, შეგვიყვანს სოციალისტურ ედემში, თუ ჯერ კიდევ ვერ გავცილდებით ამ კარებს. სოციალისტური ბეჭედი ადევს, თუ ასეა ბურჟუაზიული ამ რევოლუციას? ეს დიდი საერთო კითხვა არ დაბადებულა 1917 წლის პირველ დღეებში. დაიბადა უფრო ადრე. ამაზე ლაპარაკობდენ ბოლშევიკ-მენშევიკები რამოდენიმე წლის წინეთ დიდი რევოლუციის დაწყებამდე. ლენინი და ტროცკი 1905 წელშივე შეუდგნენ სოციალისტური რევოლუციის ნავზე. და გამოაცხადეს: ეს ნავი არ გაჩერდება, სანამ სოციალიზმი არ დამყარდებაო. პლეხანოვი შორიდან უყურებდა იმ აღელვებულ ზღვის ტალღებს და ამბობდა,—ჯერ კიდევ დიდი დრო, დიდი მზადება გვინდა, რომ ჩვენი მოძრაობის ნავი წინსვლის მაგივრად ზღვის უფსკრულისკენ არ ჩაეშვასო.

ეს არ იყო მარტო პლეხანოვის აზრი. ყველას ახსოვდება მისი მაშინდელი მიმართვა საზღვარ გარეთელი მოწინავე ამხანაგებისადმი. მთელმა საერთაშორისო ოჯახმა მაშინ მხარი დაუჭირა პლეხანოვს ლენინის წინააღმდეგ. სხვებზე უფრო მკაფიოდ გამოთქვა თავისი აზრი კაუცკიმ.—არ შეიძლება ითქვას, რომ ეს წმინდა ბურჟუაზიულია, ვერ მოვნათლავთ ამას ვერც წმინდა სოციალისტური სახელით, ეს უფრო გარდამავალი ხანაა, როცა მხოლოდ საძირკველი ისხმება ახალი წესწყობილების ასაშენებლად.

ბოლშევიკებმა იფიქრეს ამ ორი თუ სამი წლის წინეთ,—ეს გარდამავალი ხანა გათავდა, საძირკველი უკვე გასხმულია. დარწმუნებული იყვნენ 1917 წლის ოქტომბრის დამლევში, რომ მთელი ქვეყანა შეერთდება იმ დღეს, როცა რუსეთში მუშა-გლეხთა მთავრობა გამოცხადდება. ახლავე მოდგება ევროპაში სოციალისტური რევოლუცია, და თუ არ მოხდა ჩვენ [illegible] დაგვღუპავთო,—სწერდნენ. ლენინ-ტროცკის მიერ დარეკილი ზარის ხმა მოედინა მთელ ქვეყანას, მაგრამ გამოხმაურება არსაიდან შემოესმა.

მოხდა კი, ასე ვთქვათ, [illegible] სასწაული. ლენინის მთავრობა არ დაიღუპა, პირიქით დღესაც თავის ადგილზე დგას. მტკიცეა თუ არა მისი მდგომარეობა,—ეს სხვა საკითხია, ამაზე შემდეგ ვილაპარაკებთ. ჯერ ვიტყვით მხოლოდ, რომ ამდენ ხან გაძლებას არ მოელოდა თვითონ ლენინი, იქნება ამას რამე საერთაშორისო მიზეზი აქვს. იქნება დასავლეთ ევროპა შემდგარია სოციალისტური რევოლუციის ლიანდაგზე და ბოლშევიკური [illegible] თუ არა, ნელა მაინც მიდის უკანასკნელ სადგურამდის. თითონ ბოლშევიკები ამით ხსნიან თავის [illegible]. მათი გაზეთები ყოველ დღე წერენ „უკანასკნელ წუთის“, „მოახლოებაზე“, „მიწის ძვრას“. დიდი იმედი და მოთმინება გამოიჩინეს ამ მოლოდინში. მაგრამ მოთმინებასაც დიდი მოთმინება უნდა, როგორც ამბობს ჩვენი დ. კლდიაშვილის ერთი გმირი, და ლენინელებს ამ ბოლო დროს დაეკარგათ დასავლეთის იმედი.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მენშევიკებმა ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში, როცა ბოლშევიკებმა უკვე [illegible], თქვეს თავის არაჩვეულებრივ კრებაზე, რომ ევროპაში ობიექტიური პირობები ჯერ სრულ არ უწყობს ხელს სოციალისტური რევოლუციის დაწყებასო. ეს აზრი ვაჟკაცურად [illegible] სინამდვილეა; ამ სინამდვილის გასაგებათ უნდა გავიხსენოთ მარქსიზმის ერთი მთავარი დებულება. მარქსი და მისი საუკეთესო მიმდევრები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ სოციალიზმი კანონიერი შვილია კაპიტალიზმის. ამიტომ ბევრ დღევანდელ მარქსისტებს დაავიწყდათ ეს. დაავიწყდათ, რომ კაპიტალიზმი ქმნის საწარმოო ძალებს ახალი წარმოების მოსაწყობათ. ჩვენ მოძრაობას მაშინ ექნება კაპიტალიზმის გაძლიერება და არა, მისი დანგრევა. ბოლშევიკებმა თავისი მეფობის დროს დაანგრიეს წარმოება, გააქრეს საწარმოო ძალები, მიწასთან გაასწორეს ის, საიდანაც უნდა გამოზრდილიყო სოციალიზმი. ამაში გამოიხატა ბოლშევიკების რეაქციონერობა. სულით და გულით ისინი, რა თქმა უნდა, სოციალისტები იყვნენ და არიან, მაგრამ მათი სოციალისტობა დღევანდელ ისტორიულ პირობებში მიმართული გამოვიდა სოციალიზმის წინააღმდეგ. დასავლეთმა არ ისარგებლა ბოლშევიკური რუსეთის მაგალითით. ამაშია დიდი შეგნება და დიდი [illegible] იქაური მუშათა კლასის. იქ კარგათ იციან, რომ ევროპა ომამდის უფრო მომზადებული იყო სოციალისტური მოძრაობისთვის, ვიდრე ახლა. ამ დამანგრეველი ომის შემდეგ დანგრეულ საწარმოო ძალების ხელახლა მოსაწყობათ საჭირო იყო შრომა, შრომა და კიდევ შრომა. რა თქმა უნდა ამისთანა შრომას ხელს ვერ შეუწყობდა ის გაჭირვება, რომელიც ომს მოჰყვა თან. ადვილი გასაგებია ამიტომ საყოველთაო გაფიცვები მთელი ევროპის ქვეყნებში. ბოლშევიკები ფიქრობდენ,—ეს გაფიცვები სოციალისტური რევოლუციის ნიშანიო. მაგრამ არსად არც ერთ გაფიცვაში მუშებს არ წამოუყენებიათ ისეთი მოთხოვნა, რომლის ასრულებაც არ შეიძლება კაპიტალისტური ხანის პირობებში. აგერ იქ მოითხოვეს, მაგალითად რკინის გზების ან მრეწველობის სახელმწიფო საკუთრებათ გადაქცევა. ეს კი, მარქსისტების აზრით, არასდროს არ იყო სოციალიზმის მომასწავებელი.

ბურჟუაზიულ წესწყობილებას შეუძლია დააკმაყოფილოს თანამედროვე გაფიცვების მოთხოვნები და თითონ არ დაეცეს. შეიძლება, ეკონომიური საძირკველი ისე დანგრეული, რომ ბურჟუაზიული მთავრობა ვერ აყენებს. მაშინ მუშათა კლასმა უნდა იფიქროს, შეუძლია თუ არა ამის აყენება სოციალისტურ მთავრობას.

მუშათა კლასი უნდა იყოს იმდენათ ძლიერი, რომ ბურჟუაზიულმა მთავრობამ მარტო თავისი კლასისთვის არ გამოიყენოს წარმოების გაცოცხლება. სადაც არ არის ამისთანა ძლიერი მუშათა კლასი, ბურჟუაზია, რომელიც თავის ვიწრო ინტერესებს იქით ვერ იხედება, იქ სოციალისტები იღებენ ხელში პოლიტიკურ მეფობას. მაგრამ სოციალისტური მთავრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალიზმის იქვე შენებას და კლასთა სხვადასხვაობის ერთი ხელის დაკვრით მოსპობას. ბოლშევიკებმა მოინდომეს ეს და გამოუვიდათ ის, რაც თითონ არ ეგონათ.

სოციალიზმი არის თანასწორობა სიმდიდრეში. მათი სოციალისტობა თანასწორობაა შიმშილში და სიღატაკეში. სოციალიზმმა უნდა მოსპოს მეტ-ნაკლებ უთანასწორობა და ნიადაგს აცლის კლასობრივ დანაწილებას. ბოლშევიკების სოციალისტობამ ვერ დაარღვია ეს დანაწილება, გადააბრუნა მხოლოდ ძველი კლასიური საზოგადოება, [illegible] ფენებს მისცა თავის ამყოლ ფენებს, ხელ უფლებოთ დასტოვა ყველა დანარჩენი ფენები და კლასები. ამისთანა სოციალისტობას არავითარი კავშირი არ აქვს ნამდვილ სოციალიზმთან.

ს. დევდარიანი.

უკანასკნელი ცნობები

შავი ზღვის გლეხთა შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა.

27 თებერვლის შუადღის 4 საათზე, ჩვენმა ჯარმა 6 საათის ბრძოლის შემდეგ ტუაპსე აიღო და ჯუბის და გელენჯიკის რაიონების პარტიზანებს შეუერთდა. წამოვიყვანეთ 1500 ტყვე, ამათ რიცხვში ჯარების უფროსი გენერალი ბურნევიჩი, 310 ოფიცერი, ხელში ჩაგვიდგა 10 ზარბაზანი, 49 ტყვიის მფრქვეველი, 3 მოტორიანი გემი, ტანსაცმლის და სურსათის საწყობები და ხაზინა 30 მილიონი მანეთით. 26 თებერვალს ჩვენი პარტიზანული რაზმი გელენჯიკთან მივიდა. (ს. დ. ს.)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 მარტი.

უკანასკნელი პრესის ცნობები.

რკინის გზელთა გაფიცვა.

„პტი პარიზიენი“ შემდეგ ცნობებს იძლევა რკინის გზელთა გაფიცვის შესახებ: შაბათს, ღამისთ რკინის გზელთა კავშირმა გამოსცა დადგენილება რკინის გზებზე საყოველთაო გაფიცვის შესახებ. მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. „პლმ“-ს ხაზზე, სადაც პოლიციელ მოხდა ინციდენტი, შესანიშნავი მდგომარეობაა. ჩრდილოეთშიაც კარგი მდგომარეობაა. აღმოსავლეთში—უცვლელია. ორლეანის გარშემო მდგომარეობა გაუმჯობესდა. მატარებლების მიმოსვლამ იმატა წინანდელთან შედარებით. მთავრობა ზომებს იღებს ხალხისათვის სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცავად. რკინის გზელთა მობილიზაციის შესახებ გამოცემული ბრძანებანი [illegible] მოიყვანეს სისრულეში. საერთოდ მშვიდობიანობაა. თუ მოლაპარაკება განახლდა, შესაძლებელია, რომ შეთანხმების ნიადაგი იპოვონ.

ეკონომიური [illegible], ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით, [illegible] ეკონომიური მდგომარეობის განხილვის იმ მიზნით, რომ ნათლად გაეცნობოდენ ევროპის დეფიციტისა და სიძვირის საკითხს და ამ მდგომარეობიდან რაიმე გამოსავალი ეპოვათ. [illegible] ციფრებიდან გამომდინარეობს, რომ საფრანგეთსა და იტალიაში ომის წინა დროსთან შედარებით ფასებს აუწევია 300 პროც., ინგლისში 170 პროც., იაპონიაში 160 პროც. და ამერიკაში 120 პროც. განიხილეს აგრეთვე შუა ევროპის სახელმწიფოთა მდგომარეობა.

ინგლისური პრესის ცნობები

ზავის გარშემო.

მოსკოვიდან უმავთულო ტელეგრაფით გვატყობინებენ: ლატვიისმა, პოლონეთისა, ფინეთისა და ლიტვასთან შეთანხმებით საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დაწყება გადასწყვიტეს.

გ ა ფ ი ც ვ ა.

იოჰანესბურგში გაიფიცა 40,000 ადგილობრივი მუშა. ისინი მოითხოვენ ქირის გადიდებას სამი შილინგით მაინც. ოფიციალურად ამბობენ, რომ ეს გამოიწვევს ერთი მილიონ გირვანქა დამატებით ხარჯს, რასაც ოქროს მრეწველობა ვერ აანაზღაურებს.

სომხების ამოჟლეტის საკითხი

(დასაწყისი არ მიგვიღია)... გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში საბჭომ განიხილა კილიკიაში სომხების ამოჟლეტის საკითხი. შუადღისას უმაღლეს საბჭოს საერთო სხდომა შესდგა პრემიერის ბინაზე იმ მიზნით, რომ ამ საქმის შესახებ ემსჯელათ. საბჭომ ამის განხილვა დღის სხდომისათვის გადასდო. ოფიციალური ცნობით საბჭოში მონაწილეობა მიუღია ლოიდ ჯორჯს, კერზონს, [illegible], კამბონს, ბერტელოს, ნიტის, [illegible], მარკიზ იმპერიალის, ვიკონტ ჩინდასა და აგრეთვე სამხედრო და სხვა ექსპერტებს. ამის შემდეგ განიხილეს ცნობა კილიკიაში სომხების ჟლეტის შესახებ და მდგომარეობის მიხედვით შეიმუშავეს საჭირო ზომები.

რკინის გზის გაფიცვა და ჰაეროპლანები.

საფრანგეთის რკინის გზებზე მომხდარ გაფიცვის გამო ინგლისის ჰაეროპლანის კამპანიამ, რომელიც მგზავრებს გადაჰყავ-გადმოჰყავს თავისი რეისები გააძლიერა. გუშინ ერთმა კამპანიამ ერთის მაგიერ 4 გადაფრენა მოაწყო. ყველა მანქანა სავსე იყო მგზავრით და საქონლით. ერთმა კამპანიამ გამოაცხადა [illegible], რომ დღის განმავლობაში ლონდონიდან პარიზში 1800 გირვანქა საქონელი იყო გადაზიდული.

მომავალი ხალხთა მილიცია.

„[illegible] ტაიმსი“ სწერს: „სამხედრო სამინისტრომ პრინციპიალურად განიხილა ხალხთა მილიციის მომავალი მოწყობილება. არტილერიის გადიდება, რომელიც ხმელეთის ჯარისათვის აუცილებელია, გატარებულ იქნება ცხოვრებაში. განზრახულია იმ 55 პოლკიდან, რომელიც ომამდის იყო, უმეტესობა საარტილერიო პოლკებათ გადააკეთონ. შესაძლებელია რომ მათგან 10 ან 12 მეტი არ დარჩეს ცხენოსანთა პოლკათ. დარჩენილ პოლკთა უმეტესობა ალბათ გადაკეთებულ იქნება საველე, ზოგი საცხენო და სამთო არტილერიათ. დანარჩენი შეადგენენ საინჟინრო მზვერავთა და ჯავშნიანთა რაზმებს.

ბოლშევიკების ცნობები

ყაზახთა ყრილობა.

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის მშრომელ ყაზახთა პირველი ყრილობა, რომელსაც ყაზახთა ჯარების ყველა დელეგატი დაესწრო. დელეგატთა რიცხვში ქალებიც არიან. ყრილობა [illegible] თავმჯდომარეობით გაიხსნა. მისასალმებელი სიტყვით ს. ც. ა. კ. სახელით მას ამხ. კალინინმა მიმართა. კალინინმა აღნიშნა ის გავრცელებული ყალბი ხმები, თითქოს საბჭოთა ძალაუფლება სარწმუნოებას სდევნიდეს. ეხლა მოსკოვში მყოფ ყაზახებს შეუძლიათ თავისი თვალით იხილონ და დარწმუნდენ ამ არაკების უაზრობაში. საბჭოთა მთავრობა არავის ხელს არ უშლის; ვისაც რა სურს, მას იწამებს. მოსკოვის საბჭოს სახელით ილაპარაკა კამენევმა.

სამხედრო ცნობა.

როსტოვის რაიონში მტერს სამხრეთისაკენ ვსდევნით. ჯერ-ჯერობით აღნიშნულია 4000 ტყვე, ზარბაზანი, 52 ტყვიისმფრქვეველი და სხვა ქონება. სტავროპოლის რაიონში ჩვენ კავკასკაია ავიღეთ. 29 თებ. ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი ქ. სტავროპოლში შევიდა.

შრომის ბეგარა.

საერთო შრომის ბეგარის შემოღების ინსტრუქცია (ხალხთა ჯანმრთელობის დაცვის ნაწილი) უწევს რა ანგარიშს გავრცელებულ სენებს და აგრეთვე დასვრილ ქალაქებს და სხვა დასახლებულ ადგილებს სადაც მრავალი ნაგავი და სიბინძურეა, შრომის მთავარი კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ [illegible]. კომიტეტებს შემოიღონ შრომის ბეგარა ამ სანიტარული უწესრიგობის თავიდან ასაცილებლად. ამ დასახლებულ ქალაქებში მაზრებში რკ. გზის სადგურებზე სოფლებში (ქუჩები, მოედნები, გზები, [illegible]) გროვებული ნაგავი [illegible] უნდა იქნეს ისეთ ადგილს, სადაც მათ ჯანმრთელობის გაფუჭება უჩვენებს. ყველა გაწვეული პირი გამოყენებული უნდა იქნეს იმის მიხედვით, თუ რა მუშაობა შეუძლია და რა ჯანმრთელობისაა: ა. განსაკუთრებით ძნელი მუშაობა უნდა დაეკისროს მამაკაცებს, ბ. რადგან შესაძლებელია სახადი გადადებით [illegible], ამისთვის ამ საქმეზე უნდა გაიწვიონ ისინი, ვისაც გადატანილი აქვს სახადი. გ. ქალებს დაეკისრება უმეტეს ნაწილად მუშაობა სამეურნეო დარგში. მუშაობის განსაკუთრებული პირობების გამო, შრომის ბეგარა უნდა გატარდეს ადგილობრივ სანიტარულ და შრომის ინსპექციის კონტროლის ქვეშ.

8 საათის მუშაობა.

ვარშავა. 25 თებერ. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებმა დაადგინეს შემოიღონ 8 საათის სამუშაო დღე.

ინგლისი და ინდოეთი.

ინგლისის მეფემ ინდოეთის სახელმწიფოების მმართველებს და ყველა ქვეშევრდომთ მიმართა მოწოდებით, სადაც აღწერს ინგლისის მზრუნველობას ინდოეთის მიმართ. ის სთხოვს ჩამოცილდნენ უპასუხისმგებლო პირებს და არწმუნებს ინდოეთის მცხოვრებთ, რომ ისინი სრული პოლიტიკური თავისუფლებისათვის მზად არ არიან.

ე ს პ ა ნ ი ა შ ი

ისპანიაში რევოლუციონური გამოსვლები დაიწყო. რესტორანში მოსამსახურეთა გაფიცვა ყუმბარების სროლით ჩატარდა. ისპანიის მეფის შვილები ამ მხარიდან წავიდნენ.

ყაზახთა მიმართვა.

მშრომელთა ყაზახთა მიმართვა მთელი ქვეყნის მშრომელთა მიმართ. ორი წლის წინად რუსეთის მუშებმა მოახდინეს [illegible] გადატრიალება. დაამხეს მემამულეების და კაპიტალისტების ძალაუფლება და ხელში აიღეს სახელმწიფოს მართველობა. უფლების დაკარგვასთან ერთად, კაპიტალისტებმა დაკარგეს თავისი ქარხნები, ფაბრიკები და მიწები, რომლებიც მუშათა ხელში გადავიდა. სამეფო, კაპიტალისტური რუსეთის მაგიერ შექმნა ახალი რუსეთი. მეფის გენერლებმა და ოფიცრებმა ყაზახთა ოლქებს მიაშურეს. შეერთებული ძალებით მათ მიიმხრეს ყაზახები და საბჭოთა წინააღმდეგ გაილაშქრეს. სამოქალაქო ომი ყაზახებს ძვირად დაუჯდათ. მეფის გენერლებმა დაიწყეს ძველი რეჟიმის შემოღება და მიწების დაბრუნება“. „დამფუძნებელი კრების“ ლოზუნგიდან ისინი გადავიდნენ „[illegible] მონარქიას“. ყაზახობამ დაინახა, რომ დენიკინი და კოლჩაკი ოქროში, ზარბაზნებში და ყუმბარებში მოკავშირეებს აძლევდნენ ყაზახთა პურს და ნახშირს. მშრომელი ყაზახობა მიხვდა, რომ ის მოტყუებული იყო, რომ რუსის მემამულეებს და მეფის გენერლებს სრულიად არ აინტერესებს რუსეთის ბედი, არამედ სარგებლობენ ყაზახებით თავის ანგარიშისათვის.—მაშინ მშრომელმა ყაზახობამ მიაპყრო თვალი საბჭოთა რუსეთს.

ახალი ამბები

დღეს, შუადღის 3 ს., ნავთლუღის რაიონის მუშათა კლუბში თფილისის კომიტეტი იწვევს მე-5 და მე 7 რაიონების წევრთა საზოგადო კრებას, რომელზედაც ამხ. ნ. რამიშვილი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის დიქტატურა და სოციალური რევოლუცია“. ეს ლექცია განმეორდება ამავე დღეს, საღ. 7 ს., მესამე რაიონში, ელმავლის მუშათა კლუბში.

◆ ბათუმის საქ. არჩევნები დამთავრდა. არჩეულნი არიან: ქართველთა დემოკრატიული ჯგუფის სიით 20 ხმოსანი, ბერძენთა ეროვნულ საბჭოს სიით—1, ბინის დამქირავებელთა—1, ბერძნების—8, სომხების—4 და რუსების—2.

◆ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა და „ჯამიეთ ისლამიეს“ „ვედაი მილეთის“ კომიტეტმა 29 თებერვალს შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს: სამუსლიმანო საქართველო უნდა შეუერთდეს დედა სამშობლო საქართველოს ფართო ავტონომიურ საფუძველზე. დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად თითო კომიტეტიდან უნდა არჩეულ იქნას ექვს-ექვსი პირი; ამ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს საერთო მოქმედების გეგმა.

(სამუს. საქ.).

◆ „გმირის ფონდი“. „ერთობის“ რედაქციის განკარგულებაში კონსტანტინე სიმონიშვილი [illegible] ამხანაგებში შეგროვებული 1290 მან.

◆ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე თფილისის კომისია სთხოვს ყველა იმ პირთ და დაწესებულებებს, რომლებმაც მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ მოაგროვეს ფული ან ნივთები, დაუყონებლივ წარმოუდგინონ თფილისის ქალაქის გამგეობის შენობაში, ქალაქის მდივანს ვ. ხახანაშვილს.

◆ სახალხო უნივერსიტეტში. დღეს, ოთხშაბათს, 3 მარტს, გამგეობის სხდა-

(პლეხანოვის პროსპ. № 128) საღ. 7 ს. მოხდება სახალხო უნივერსიტეტის ...ეობის მორიგი სხდომა.

◆ **მიწის ძვრისაგან დაზარალებულ**თა სასარგებლოთ ნივთების შეკრება ...ხდება ინა ივანეს ასულ ჟორდანიას ხელმძღვანელობით. ნივთების შემკრებ ქალაქო კომისიის პრეზიდიუმის კრება ...ება ყოველ დღე (პეტრე დიდის ქ. № ...) „დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოების" კანცელარიაში. ...ნივთების შეკრება ქალაქში მოხდება პარასკევს 5 და შაბათს 6 მარტს, ...თხოვენ მათ, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ნივთების შეკრებაში, შეიარონ ნივთების შემკრებ ბიუროში.

◆ **საქართველოს რესპუბლიკის ექიმ**-ფერშალთა პირველი ყრილობა გაიხსნა 28 თებერვალს. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ს. ახმეტელაშვილი. ყრილობამ მოისმინა მილოცვის დეპეშები, რომლის შემდეგაც საორგანიზაციო კომიტეტის სახელით, ექიმმა ვეტერინარმა ...ლ. ჩხენკელმა გააკეთა მოხსენება. ყრილობაზე გარიბი დაზარალებულთა სასარგებლოთ შეგროვილ იქნა 5 ათას მანეთამდე.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, გალაკტიონ ტაბიძის საღამოა.

◆ **მუშათა კლუბი** (პლეხანოვის პრ., № 128). დღეს, 3 მარტს ამხ. ა. აზატიანი წაიკითხავს ლექციას. წევრთათვის უფასოდ.

◆ **„ახალი კვალი".** რედაქციამ მიიღო ს. ა. მ. რ. კ. ორგან. ცენტრალურ კომიტეტის ორგანო „ახალი კვალი", № 2. ჟურნალში მოთავსებულია მოწინავე—„ძრი გზა", წერილი მარქს ზმის ფილ სოფიაზე (გაგრძელება), [illegible] გეგმა, შესწორებული წესდება ორგანიზაციისა და სხვ.

კრებები.

დღეს, 3 მარტს, საღ. 7 ს. დანიშნულია სასწრაფო სხდომა ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციისა.

— ოთხშაბათს, 3 მარტს, საღ. 6 ს. [illegible] სახ. უნივერსიტ. შენობაში შესდგება გორისა და მის მიდამოებში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის არჩევა, ამიტომ დროებითი კომისია სთხოვს ადგილობრივ რაიონში არჩეულ პოლიტიკურ, კულტურულ და პროფ. ორგანიზაციებს გამოგზავნონ კრებაზე თავიანთი წარმომადგენლები.

— ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს 5 ს. ორთაჭალის მუშათა კლუბში მე-8 რაიონულ კოლექტივის მეხუთე სამედიცინო უბნის ქვე-კოლექტივი იწვევს ამავე უბნის საქ. სოც. დემ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრებას ქვე-კოლექტივის წევრების არჩევნებისათვის.

უცხოეთი

რუსეთი.

სამხრეთ რუსეთის მთავრობა. კავკასიდან პირდაპირი მავთულით უტყობინებს „კრეგის" დეპეშათა სააგენტოს, რომ მ. ნ. მელნიკოვს უკვე შეუდგენია მთავრობა. მთავრობაში შედიან: მ. ნ. მელნიკოვი—მთავრობის თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი, პავლე აგეევი—მიწათ-მოქმედების მინისტრი, ლეონტოვიჩი—ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, გურბიჩი—სასურსათო და შრომის საქმეების მინისტრი, პროფ. ბერნაცკი—ფინანსთა მინისტრი, ზვეღერი—შინაგან საქმეთა მინისტრი, სუშკოვი—სახალხო განათლების მინისტრი, გენ. კოლჩევსკი—სამხედრო მინისტრი, გენ. ბარათოვი—საგარეო საქმეთა მინისტრი.

ადერბეიჯანი.

ჩიჩერინის ნოტის შესახებ. გაზ. „მაკინეც"-ში სწერია: როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, მთავრობას განზრახული აქვს უპასუხოდ დასტოვოს ჩიჩერინის მესამე ნოტა, ვინაიდან მასში არაფერი ახალი არაა ნათქვამი. ყოველ შემთხვევაში, თუ პასუხი გაიგზავნა, პასუხის შინაარსი ისეთივე იქნება, როგორიც პირველ ორ ნოტაში იყო გატარებული.

დამფუძნებელი კრება

1 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

გრძელდება კამათი შინაგან საქმეთა სამინისტროს შტატების შესახებ. ი. ნუცუბიძე, ლ. შენგელაია და ს. დადიანი მეორეჯერ ილაშქრებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი იმეორებენ თავიანთ წინანდელ ბრალდებებს, მოჰყავთ 6 თვის, ერთი წლის წინეთ მომხდარი ფაქტები, ასახელებენ ისეთ ბიუროკრ.-მოქმედებებს, რომლის წინააღმდეგ უწყებას თავის დროზე მიუღია სათანადო ზომები და სხვ. კვლავ აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციაში მსახურებენ ძველი მოხელეები, რომ ადმინისტრაციის თვითნებობას საზღვარი არა აქვს, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა თვითონ იწვევს ანარქიას; რომ ადმინისტრაციას ყაჩაღებთან აქვს კავშირი და სხვ. დადიანი კვლავ ლაპარაკობს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა უუფლებობაზე, ამ უწყების საქმეების არევ-დარევაზე და სხვა. მათ საპასუხოთ გამოდის ნ. რამიშვილი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის პასუხი.

მოქალაქენო, დამფ. კრების წევრნო! როგორც მოსალოდნელი იყო ამ ჩვენ სამინისტროს გარშემო გაიმართა პარტიული ბრძოლა. მე ვამბობ პარტიული ბრძოლას იმიტომ, რომ, ის საბუთები, რომელიც აქ მოიყვანეს ჩვენს სამინისტროს მოქმედების დასახასიათებლად, ყველა ეს საბუთები ამოკრეფილი არის იმ საწყობიდან, რომელსაც ეწოდება პარტიული [illegible] არის და რომ ეს ასე არის, მე ამის დამტკიცებას შევეცდები. (ი. ნუცუბიძე რაღაცას ლაპარაკობს) თქვენ ნუ აღელდებით ბ. დეპუტატო, თუ ჩაწერილი ხართ, შეგიძლიათ ილაპარაკოთ. აი პირველი. აქ ნათქვამი იყო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის გადასახლების და დაპატიმრების სამინისტროვო (შენგელაია: ლიახ, წამებისა კიდევ) (ი. ნუცუბიძე: თავდადება დაკიდებისა და გართხზევისა) მომითმინეთ და მოგახსენებთ. პირველი კითხვა, რომელიც ჩვენს წინაშე დაისმის, ბ. ნუცუბიძე, არის შემდეგი: ვმოქმედებთ თუ არა ჩვენ თანახმად არსებული კანონებისა, და მე გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენს მოქმედებაში არსებულ კანონებისათვის ჩვენ ერთხელაც არ გადაგვიხვევია (ი. ნუცუბიძე: კერენსკის კანონის თანახმად?) ჯერ ერთი მოქმედებთ კერენსკის კანონის თანახმად და მერე თქვენ ალბათ იცით, რომ ნოემბერში იყო შემუშავებული კანონი. აი ერთი მუხლი ანარქიის საწინააღმდეგოთ მიმართულ დროებითი დეკრეტისა: „დროებით ანარქიასთან საბრძოლველად მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება—გაძევოს საქართველოს საზღვრებიდან, ან აუკრძალოს განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრება, ან დაპატიმროს ყოველი პირი, რომელიც თავისი მოქმედებით ზიანს მიაყენებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობს მის მთლიანობის დარღვევას, ან სიტყვით თუ წერილობით ეწევა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ".

მე ვამბობ, რომ ჩვენ ვმოქმედობთ არსებულ კანონების თანახმად, მაგრამ შეიძლება ჩვენ რევოლიუციის კანონები დავგმოთ, როგორც აქ ლაპარაკობენ, გადავხედოთ იმ კანონებს, რომლითაც ხელმძღვანელობს ყოველი რევოლიუცია. მე ერთხელ მქონდა საშუალება მომეყვანა თქვენ წინაშე ის დეკრეტები, რომელიც კონვენტმა მიიღო, დღეს ამას გავიმეორებ, რადგანაც ესერების ფრაქცია გულმავიწყი არის. (ვის წინააღმდეგ იყო ეს დეკრეტები მიღებული?—ლ. შენგელაია) სწორედ იმათ წინააღმდეგ, ვინც თქვენსავით ანარქიას უწყობდა ხელს:

1793 წ. კონვენტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად რევოლიუციონურ ტრიბუნალს მიეცა უფლება ძველი რეჟიმის ყველა მომხრეთა გადასახლების, მათი ქონების კონფისკაციის ყველა საეჭვო პირთა დაპატიმრებისა (გვაზავა: ძალიან ძველია).

იმავე 1793 წ. კონვენტმა გამოსცა დეკრეტი მოქალაქეთა საერთო განხრეკის შესახებ, კონვენტმა იმავე წელს დაადგინა, რომ ზემოხსენებული დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ყველა საეჭვო პირები, რომელნიც რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან და თავისუფლებით სარგებლობენ, დაპატიმრებულ იქმნენ. ამ დეკრეტის მეათე მუხლი მთავრობას ნებას აძლევდა საპატიმროში გაეჩერებინათ ყველა საეჭვო პირნი, რომელთა წინააღმდეგ შეუძლებელი იყო გარკვეული ბრალდების დაყენება.

აქ განაცხადეს, რომ ეს დიდი რევოლიუციის ხანას ეკუთვნისო. მე მოგახსენებთ პარიზის კომუნის მოღვაწეობას. (ასათიანი: ისტორიიდან ამაზე მეტი ვერაფერი ვერ ამოკრიფეთ?). ამოვკრიფეთ ყველაფერი ის, რაც ამ ქამდე საჭირო არის რევოლიუციონური წესის დამყარებისათვის. (ეშიძე: რით გათავდა საფრანგეთში?) ეს გათავდა რესპუბლიკის განმტკიცებით. და აი მე მოგახსენებთ, რომ გადასახლების და დაპატიმრების მუდამ მიმართავდა პარიზის კომუნა 1871 წ. ვერსალის მთავრობის მომხრეთა მიმართ. ასეთი იყო რევოლიუციონური მთავრობის მოღვაწეობა. თქვენ ბ. შენგელაია და ნუცუბიძე, ვერც ერთ მაგალითს ვერ მოიყვანთ იმისას, რომ დაპატიმრებული ყოფილიყოს ისეთი პირი, რომლის დაპატიმრებას არ მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები. შეიძლება ითქვას ორიოდე შემთხვევა იყო უსამართლოდ დაპატიმრებისა, მე ამას არ უარვყოფ, მაგრამ ეს არ იყო სისტემა, როგორც აქ ლაპარაკობენ, შესაძლებელია დაპატიმრება მოხდა ისეთი მძარცველებისა, რომელნიც ამა თუ იმ პარტიაში ირიცხებიან და მე ვამბობ, რომ არა მარტო ასეთი იყო პრაქტიკა რევოლიუციისა, არამედ ასეთი იყო სხვათა შორის დასავლეთის მე-19-ე საუკუნეში საფრანგეთის რევოლიუციონერებისა: პრუდონისტებთან კამათის დროს კ. მარქსი შენიშნავს სწორედ: (ნუცუბიძე: საგანზე, ბატონო). მე ვგონია, რომ ბ. ნუცუბიძე უნდა იყოს მშვიდათ, რომ ნამეტანს ჩქარობს და მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ ეს საგანს ეხება. თქვენ შემოიტანეთ წინადადება ბოლშევიკების განთავისუფლების შესახებ ეს მაშინ, როცა ბოლშევიკები ამზადებენ ახალ აჯანყებას ჩვენს წინააღმდეგ, თუნდაც იმ პროვინციაში, რომელიც ჩვენი უნდა იყოს. (ლ. შენგელაია: თქვენ ყაჩაღები განთავისუფლეთ). ჩვენ განვათავისუფლეთ ისინი, ვისი განთავისუფლება დაადგინა დამფუძნებელმა კრებამ. აი კ. მარქსი სწერდა შემდეგს: „რევოლიუცია არის აქტი, რომლითაც მცხოვრებთა ნაწილი თავის ნებას ახვევს თავზე მეორე ნაწილს, თოფების, ხიშტების და ზარბაზნების შემწეობით..." (ხმაურობაა: ბ. ნუცუბიძე ღელავს).

თავმჯდომარე: მე ძალიან ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არავითარი ღონე და ძალა არა მაქვს ნუცუბიძეზე რაიმე გავლენა მოვახდინო, თუ კიდევ განაგრძობთ ბ. ნუცუბიძე ასეთი ყოფა-ქცევა, მე იძულებული ვიქნები გავაძევოთ სხდომიდან. (ი. ნუცუბიძე ღელავს და რეპლიკას იძლევა, ხმაურობაა, რეპლიკა არ ისმის).

თავმჯდომარე, გთხოვთ დაწყნარდეთ ბ. ნუცუბიძე ილია, ნუ ჩამაყენებთ ისეთ მდგომარეობაში, რომ რეპრესიულ ზომებს მივმართო; კეთილ ინებეთ და მოუსმინეთ ბ. მინისტრის სიტყვას.

ნ. რამიშვილი განაგრძობს: „გამარჯვებული პარტია იძულებული ხდება—სწერს მარქსი—განამტკიცოს თავისი ბატონობა იმ შიშის შემწეობით, რომელსაც იწვევს იარაღი რეაქციონერთა ბანაკში. პარიზის კომუნა, რომ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტზე არ ყოფილიყო დამყარებული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, განა ის ერთ დღეზე მეტს იცოცხლებდა? განა პირიქით, ის არ უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენ კომუნას, რომ მან ძალიან ნაკლებათ გამოიყენა, ეს ავტორიტეტი? მაშასადამე ანტიავტორიტეტებმა (ე. ი. პრუდონისტებმა) ან თითონ არ იციან რას ამბობენ—ამ შემთხვევაში ისინი აზრთა არევ დარევას უწყობენ ხელს—ან იციან ეს და ამ შემთხვევაში ისინი ღალატობენ პროლეტარიატის საქმეს. ორივე შემთხვევაში ისინი რეაქციის საკეთილდღეოთ საქმობენ" სწორედ ისე, როგორც სოც.-რევოლიუციონერები და აგრეთვე სხვა პარტიები და ეს მაშინ, როცა რამოდენიმე მოწოდება უკვე გამოვიდა და გამოსვლები მზადდება ჩვენს წინააღმდეგ, და ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ. იმ პროვინციაში, რომელიც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. (შენგელაია: თქვენი პოლიტიკის წყალობით). იმ ყაჩაღების წყალობით, რომელთაც მუდამ თქვენ იცავდით, აგრეთვე იმ ბოლშევიკების წყალობით, რომელთა განთავისუფლებას აქ თქვენ ითხოვდით, მზადდება იმ ფულით, რომელსაც გზავნის საბჭოთა მთავრობა. და აი ასეთ დროს თქვენ მოითხოვთ იმ სისტემის შეცვლას, რომელიც დაკანონებულია ჩვენს რესპუბლიკაში რევოლიუციის მთელი ისტორიით, როდესაც თქვენ ამას მოითხოვთ, თქვენ აკეთებთ რეაქციის საქმეს, უწყობთ ხელს იმ შავ ბნელ ელემენტებს, რომელნიც არიან განაპირა კუთხეებში, მაგალ. აფხაზეთში. მართალია, ბ. შენგელაია, თქვენ შეეცადეთ გაგებათილებინათ ჩემი განცხადება, მაგრამ ეს ფაქტია, რომ თქვენი ამხანაგები შეუთანხმდნენ იმ დამოუკიდებლებს, რომელნიც იბრძვიან საქართველოს წინააღმდეგ (შენგელაია: ფიქრია, ვინ არის?) ის კომისარია, სხვათა შორის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრია, ხოლო თქვენი ამხანაგები შეუკავშირდნენ კონტრ-რევოლიუციონერებს, ჩვენი რესპუბლიკის მოწინააღმდეგეთ, იმ მიზნით, რომ მოახდინონ იქ გადატრიალება. (შენგელაია: ტუმანიკი?) ის ჩვენ გავაძევეთ და მე არც ის გამიკვირდება, რომ კიდევ დაგვჭირდეს ზოგიერთის გაძევება, მაგრამ თქვენ რომ ვერც ავანტიურისტს თავიდან ვერ მოიშორებთ, რომლებიც გამოაშკარავებულა მათი ავანტიურა, ეს ცხადია.

ამას მოითხოვდა და მოითხოვს ჩვენი ინტერესები დღეს. თქვენ გამოდიხართ იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც დაკანონებულია რევოლიუციით და რასაც გვიკარნახებს ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები. მე არ ვლაპარაკობ თითო ორიოდე შეცდომაზე. ადვილად შესაძლებელია, დაპატიმრებულ იყოს ისეთი პირი, რომელიც არ არის დამნაშავე, მე წინდაწინ უნდა განვაცხადო, რომ შეუძლებელია ასეთი შეცდომებისაგან უზრუნველყოფილი ვიყოთ, არც სასამართლო არის ასეთ შემთხვევებისაგან უზრუნველყოფილი, ხომ იცით, რომ ხდება ისეთი შემთხვევები, რომ ხანდახან უდანაშაულო პირიც კი დაისჯება. ჩვენი სისტემა იყო შემდეგი: არა უბრალო მოქალაქე, რომელმაც რაიმე უბრალო სიტყვა წამოიძახა რესპუბლიკის, ან მთავრობის წინააღმდეგ, არამედ რომელთაც მართლაც ჰქონდათ საშუალება ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი ზიანი მოეტანათ, აი ამათ წინააღმდეგ არის ეს სისტემა მიმართული. (ხმა) სწორედ ამ გარდამავალ ხანაში, როდესაც სწყდება ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი, საშუალოებით საქართველოს ბედი, ამ შემთხვევაში გამოსვლა იმ სისტემის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილი არის არა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, არის გამოსვლა არა სამინისტროს წინააღმდეგ, არამედ მთელი დემოკრატიული რესპუბლიკის და რევოლიუციონური დემოკრატიის წინააღმდეგ. აქ ლაპარაკობენ ადმინისტრაციის შესახებ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ თავიდანვე ჩვენი მიზანი იყო ადმინისტრაციის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაგვეყენებინა. ეს შეიძლებოდა არა მაშინ, როცა მას სავსებით ცენტრი განაგებდა ამ საქმეს, არამედ მაშინ, როდესაც ადმინისტრაცია იქნებოდა ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში. ეს ჩვენ შევასრულეთ და სწორედ მის შემდეგ, რაც ადმინისტრაცია გადაეცა ადგილობრივ თვითმართველობებს, მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო აქ, რომ ჩვენი ადმინისტრაციის საქმე გაცილებით უკეთეს პირობებში არის ჩაყენებული. მის გაჯანსაღებას დიდი ნაბიჯი ეტყობა. მე არ მინდა განვაცხადო, ამის თქმა მე იძულებული ვიქნებოდი, რომ არ ხდება რაიმე ბოროტ მოქმედება, მაგრამ, უმაღლესი მთავრობა, სამაზრო ერობები და აგრეთვე ქალაქის თვით მართველობანი ყოველდღე ამ ბოროტ მოქმედებას ებრძვიან, ეს ეჭვს გარეშეა.

არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ თუ მოხელემ თავის უფლებას გადააჭარბა, რომ ამისთვის ანგარიში არ გაეგო წინა და იმაზე დიდი ზომები არ მიგვეღო. მაგრამ აქ მეტი სთქვეს: აქ განაცხადეს, რომ ადმინისტრაცია ყაჩაღებთან არის დამეგობრებული, აქ მოიყვანეს ზუგდიდის სამაზრო ერობის ყრილობა, სადაც თითქოს ვიღაცამ განაცხადა, რომ ადმინისტრაცია ყაჩაღებთან მოღვაწეობს კონტაქტშიაო. (შენგელაია—ეს ხმამაღლა განმიცხადა!) თუ ეს ასე იყო, თუ თქვენ ასეთი პასუხი მიიღეთ, თუ თქვენმა პარტიის წევრმა ასეთი პასუხი მიიღო, თქვენ დაუყოვნებლივ მოგვმართეთ ან შეკითხვა შემოგეტანათ, ან დაუყოვნებლივ სამინისტროსათვის გეცნობებინათ. ეს რადგანაც თქვენ არ მოიმოქმედეთ, ამიტომ მე ვფიქრობ, რომ ეს თქვენი განცხადება მართალი არ არის, სწორედ ისე როგორც მრავალი სხვა თქვენი განცხადებანი. (შენგელაია—თქვენ თითონ იცით!) თქვენ ლაპარაკობთ უსაბუთოთ, მე კი მაქვს საბუთები. აი რანაირათ ხდება ჩვენი ადმინისტრაცია ყაჩაღებს, წარმოიდგინეთ, აი დუშეთის მაზრაში, რომელიც წინადაც ცნობილი იყო ყაჩაღობით. 1920 წლის განმავლობაში შეიპყრეს 65 კაცი, მათ შორის ცნობილი ყაჩაღი შელამე და სოლოღაშვილი, რომლებიც მოტაცებულ [illegible].

გასული წლის დეკემბერში და ამა წლის იანვარში დუშეთის დროის მოკლულ იქნა 10 ყაჩაღი. 28 თებ. შეპყრობილ იქმნენ მატარებლებზე თავდამსხმელნი მელაძის ამხანაგები არსენა ასლანიშვილი და ნიკო გაბარაშვილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მაზრა ძველი მთავრობის დროსაც განთქმული იყო ყაჩაღობით და სხვადასხვა განსაკუთრებულ ზომებს იღებდენ ამ ყაჩაღების წინააღმდეგ (შენგელაია—ესეც ესერების ბრალია?..) ეს ესერების ბრალი არ არის, არის იმ ანარქიის ბრალი, სხვათა შორის, რომელსაც ჩვენში აწყობს სხვადასხვა ბნელი და უპასუხისმგებლო ელემენტები და რომელსაც ესერები მუდამ მხარს უჭერენ. აი, მეორე მაზრა, გორის მაზრა 1919 წ. შეიპყრეს 54 ყაჩაღი. აი, მიწის ძვრის დროს გორში 15 კაცი იყო და არც ერთი არ გაქცეულა. აი ის ზუგდიდის მაზრა, სადაც დღემდე ერეოდნენ ბატონობდენ იქ შეიპყრეს 60 კაცამდე გასული და მიმდინარე წელში. ამათში 13 ცნობილი ყაჩაღია, ზოგიერთი იმათგანი არის ისეთი, რომელიც იმალებოდა 4, 5 და 10 წლობით. (ასათიანი—როგორც პარტიული შემადგენლობა ამ ყაჩაღებისა?) პარტიული შემადგენლობა თქვენ მოიკითხეთ, მე თქვენ გეკითხებით: მართლაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ენერგიული მოღვაწეობა ადმინისტრაციისა, თუ ის რამოდენიმეთ მაინც დაკავშირებული იქნებოდა ყაჩაღებთან? აქ განაცხადეს, რომ ერთ სოფელში, ლაიში, მილიცია ქეიფობდა ყაჩაღებთანა. ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ შეუძლებლად არ მიგვაჩნია და ამას ყურადღებას მივაქცევთ. შეიძლება მართლაც მოხდა ეს, მაგრამ ეს სისტემა არ არის, სრულიად უმნიშვნელო გამონაკლისია. ძველი წყობილების დროს უფრო იყო აღვსილი ყაჩაღებით ზუგდიდის მაზრა, ვიდრე დღეს. სენაკის მაზრაში 60 ყაჩაღი დაუპატიმრიათ, აქ მათი სახელი და გვარები სწერია. 37 კაცი ქუთაისის მაზრაში და სხვაგანაც. ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში მთავრობის მიერ მათ წინააღმდეგ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა, და არა იმას, რომ მათ ვინმე ეხმარება. ხელიდან შეეძლოთ გამოგვიყვანოთ დასკვნა: იმ რეპრესიებმა, რომლის შესახებაც აქ ლაპარაკობენ, და რომელიც რევოლიუციონურმა რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო, მოუტანა არა ზიანი ჩვენ დემოკრატიას, ჩვენს რესპუბლიკას, არამედ შექმნა ისეთი პირობები, რომ მოწინავე სახელმწიფოების წარმომადგენელნი აქ იძულებულნი არიან განაცხადონ, რომ გასულ წელთან შედარებით ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა ჩვენმა რესპუბლიკამ მშვიდობიანობის დამყარების მხრივ. ბატონო შენგელაია, რევოლიუციონური მოღვაწეობა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც შეიქმნება დემოკრატიული წყობილება, იგი რეაქციის მესვეურთ საჯიჯგნელად არ მიუგდოთ. ეს მოხდა იმ ქვეყანაში, სადაც თქვენი ამხანაგები ბატონობდნენ და გინდათ ჩვენც ისე მოვიქცეთ. სწორედ იმ პოლიტიკამ, რომელსაც კერენსკი და თქვენი ამხანაგები აწარმოებდნენ და რომელსაც ადგილობრივი მთავრობა უწყობდა, გამოიწვია ანარქია რუსეთში, ანარქია კი საუკეთესო ნიადაგია რეაქციის და ეს მოხდა რუსეთში დღეს თუ არა, ხვალ (შენგელაია: ჯერ წელიწადია ამას იძახით! არ მოხდა!) ბ. ნუცუბიძემ აქ შემდეგი ბრალდება წამოაყენა: მოაქვს სამინისტროს ანარქიასთან საბრძოლველად დიდძალი თანხა და კაცმა არ იცის მისი ანგარიში. მე აქ კატეგორიულად ვაცხადებ, და ამაში საბიუჯეტო კომისია და დამფუძნებელი კრებაც დარწმუნდება, რომ ანგარიშები ისეთი (სისტემით და სისწორით) სწარმოებს, რომ მე მოსურნე ვიქნები სხვა უწყებაშიაც ასევე სწარმოებდეს. (შენგელაია: კონტროლიორს ვკითხოთ!) ვკითხოთ, კონტროლიორს ვკითხოთ და ის დაადასტურებს ამას. თქვენ საერთოდ მიჩვეული ხართ, რომ ზეპირად წამოისროლით ბრალდება, მაშინ კი იძულებული იქნებით ბრალდება უკან წაიღოთ.

ეხლა იმის შესახებ, რაც აქ სოც.-ფედერალისტების წარმომადგენელმა განაცხადა. ის ლაპარაკობს: თქვენ შექმენით ისეთი მდგომარეობა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს წაართვეს სხვადასხვა უფლებები და ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ არ შეუძლიათ თავისი მოვალეობის შესრულება. არასოდეს ეს მოსამსახურენი არ თხოულობენ მოხელეთა გადაყენების და მიღება დათხოვნის უფლებას. ეხლა წავიკითხოთ „ფოსტა-ტელეგრაფის ხმა". აი აქ რა სწერია (კითხულობს) „ამ მხრივ მეორე ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს და მან კიდევაც უნდა გაამართლოს იმედები. უპირველესი მისი მოვალეობაა: მოხსნას კავშირში პარტიული ჯინკლაობა, დაუდგინოს კავშირს საფუძვლად წესდება ისეთი, რომლის საშუალებით აღდგენილ იქნება მისი უფლებები, ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა მიღება, დათხოვნა—გადაყენება, გადაყვანა, ადმატება თუ დამცირება უმთავრესათ უნდა ეკუთვნოდეს კავშირს. რასაკვირველია ამაში მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ადმინისტრაციაც იმდენათ, რამდენათაც ეს სამსახურის წესიერათ დაყენებისათვის საჭიროა. ამ მიზნით უნდა დაიდვას ადმინისტრაციასთან კოლექტიური ხელშეკრულება, სადაც მტკიცეთ უნდა იყოს განსაზღვრული ადმინისტრაციის და ორგანიზაციის უფლებები, ყრილობამ კავშირს უნდა მიანიჭოს უფლება ადმინისტრაციის კონტროლისა, მასვე უნდა ჰქონდეს უფლება მოსთხოვოს ადმინისტრაციას უვარგის ადმინისტრატორთა გადაყენება".

(ნინიძე—თავისი რესპუბლიკა ჰქონიათ. ს. დადიანი—სწორედ ასე უნდა იყოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გვაზავა—ეს შეცდომაა!) როგორ, უნდა იყოს ეს, ამაზე მაშინ ვილაპარაკებთ, როცა დადიანი გამოვა და შეეხება ამ საკითხს. (ხმა—რკინის გზა?) პირიქით, როგორც რკინის გზის,-სიც საერთოდ პროფესიონალურმა კავშირებმა დაადგინეს, არ ერევიან ადმინისტრაციის საქმეში. (ს. დადიანი—არც ადმინისტრაცია უნდა ერეოდეს პროფესიონალურ საქმეებში) დიახ, ამას უშლით ადმინისტრაციას, ის რასაკვირველია არ უნდა ერეოდეს პროფესიონალურ კავშირების საქმეებში. (ეშიაშვილი—კონდუქტორის მიღება შეუძლიან რკინის გზის მინისტრს?) საქმე შემდეგშია: (შენგელაია—მაღლაკელიძე?) მაღლაკელიძე პასუხისგებაში არის მიცემული. ჩვენ არავის დავაფარებთ ხელს. (შენგელაია—ქუთაისის გუბერნიის კომისარი?) ქუთაისის გუბერნიის კომისარმა წარმოადგინა ყველა ანგარიშები, გარდა ერთი უმნიშვნელო ნაწილისა. აქ სთქვეს, რომ რამიშვილმა შეცვალა სამხედრო ფორმა და ხარჯი გასწიეთ, თუმც ეს ამ სამინისტროს არ ეხება, მაგრამ თქვენ სთქვით და მე უნდა შევეხო. ამ სამხედრო ფორმის მიღება, ეს კომისიამ იცის, მიღებული იყო. აუცილებელი გახდა ცოტაოდენი ცვლილების შეტანა და ეს ცოტაოდენი ცვლილება მიღებულ იქმნა სამხედრო კომისიის მიერ. და ვინაიდან მეტის მეტად დაგვიანდა და აქ დაითარეშებოდა უცხო სამხედრო პირები უცხო ფორმებში, მაშინ აუცილებლად საჭირო [illegible] ხეთ, რომ შემოღებულ [illegible] მატებითი ცვლილება [illegible] ბრძანება გავეცით) მე ამაში ვაგებ პასუხს. (შენგელაია—ამით დაარღვიეთ კანონი!) და ამ ბრძანების შედეგი იყო, რომ მართლაც მეტი [illegible] რამიშვილისა მიიღო მანეთი, მაგრამ აგენტის სახით, რომელიც შემდეგ გამოქვეყნებული იქნება მათგან, თუ დამფ. კრება ამას არ მიიღებს. ეს მოხდა მაშინ, როცა ახალი მინისტრი მოვიდა, მაგრამ პასუხს მე ვაგებ.

დაუბრუნდეთ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, რომლის წინააღმდეგ აქ სასტიკად გაილაშქრეს. თანახმად პროფესიონალურ კავშირების დადგენილებისა, პროფესიონალური კავშირი არ უნდა ერეოდეს ადმინისტრაციის საქმეში. ხოლო ფ.-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირი, სწორედ წინააღმდეგს იზიარებს. ჩვენ მათ ვუთხარით: თუ თქვენ გსურთ პროფესიონალური კავშირების ინტერესის დაცვა, აი დიდი სასახლე (მუშათა სასახლე), მიბრძანდით და შეუერთდით მათ. პროფესიონალური კავშირის დადგენილება ისეთია, რომ ისინი არ ერევიან ადმინისტრაციის საქმეში და ამ კავშირის დადგენილება წინააღმდეგ არის და ის ერევა ადმინისტრაციის საქმეში. (ს. დადიანი: აშკარა უსამართლობას აწყობთ!) ისინი ერთმანეთში შეკავშირებულ პროფესიონალურ ორგანოს. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. მთავრობას, სამინისტროს არ სურს დაადგეს ბოლშევიკურ გზას, როდესაც საბჭოთა მთავრობამ ერთი წლის განმავლობაში მუშათა კონტროლი შემოიღო, შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ცალ-ცალკე წარმოების დარგები იმავე დარგის მუშებს გადაეცა. ჩვენ არ შეგვიძლია რომელიმე დარგი გადავცეთ მუშებს, ეს იქნება მთელი დემოკრატიული წყობილების თავდაყირა დაყენება და მთავრობა და დამფუძნებელი კრება არავის არ მისცემს ნებას, რომ ეს დარგი ისე გადაექცეს, რომ იქ დემოკრატიას არ ჰქონდეს გავლენა. (გვაზავა და ქიქია: მართალია!)

აქ ლაპარაკობენ, რომ ამ უწყებაში გამეფებულია ბიუროკრატიზმი და სწორეთ ამიტომ არაფერი კეთდება. მე ეს ვერ დავიჯერე. აქ სთქვეს, რომ ადმინისტრაციის უფროსი არავის არ აძლევს ნებას კოლექტიური პეტიციით წარდგენისა, თუ ეს მართალი არის, მე დაუყოვნებლივ გავსცემ ბრძანებას, რომ ეს მოსპობილ იქნეს. ეს უკანონობათ მიგვაჩნია და ეს, რასაკვირველია, მოსპობილ იქნება. მაგრამ მე გაგიმეორებთ, რომ არ ვაძლევთ უფლებას გამოვიდეს განცხადებით ისეთ რამეზე, რაც სწორედ ამ დარგის მუშა-მოსამსახურეებს არ ეხებათ, ე. ი. რომ წარმომადგენლობა საქმე ეხება ქუთაისის მოხელეებს და მოვიდნენ თბილისის ან სხვა რომელიმე დარგის მუშები და ჩაერიონ იმ დარგის საქმეებში, რომელთანაც საქმე არა აქვთ, ეს არის ახალი სახის პროტექცია, ეს მე სრულიად შეუძლებლად მიმაჩნია.

აი რამდენათ არეულ-დარეულია აქ საქმე: აი სტატისტიკური ცნობები. გასული წლის იანვარში გაგზავნილი უბრალო წერილები, ბანდეროლები და ფულ-ნარ-გზავნილები 527 382 ყოფილა დეკემბერში 1 678 672; ფულიანი ბარათები იანვარში 8,774, დეკემბერში კი 20 778; შემოსავალი ყოფილა იანვარში 468 813 მანეთს, ხოლო დეკემბერში 2 086 270 მანეთს (ფალიანი: ბარაქალა იმ მოსამსახურეს, რომლებმაც ასეთი რეჟიმის დროს ამდენის გაკეთება შეძლეს!) ჯერ თქვენ არ დაგიმტკიცებიათ რა რეჟიმი არის ეს რეჟიმი. (ფალიანი: ჩვენ ეს ვიცით). თქვენგან ჩვენ ის გვსურს, რომ ეს კავშირი არ სდგას მუშათა კავშირების ნიადაგზე. აი რამდენი ფოსტა-ტელეგრაფი: სულ არსებობდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 83 განყოფილება, ჩვენ გავხსენით 51, ახლო მომავალში გაიხსნება [illegible] თხუთმეტი. სადგურ ტელეგრაფის ხაზის არსებობდა 1996, ახლა გახსნილია 481, თქვენ იცით, რომ ჩვენში ტელეფონი სრულიად არ არსებობდა გარდა ქ.ქ. ქუთაისისა და თბილისისა. ეხლა კი საერთო ხაზი უდრის—1163 ვერსს, თქვენი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, აი ასე არეულ-დარეულია საქმე ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში. (უფლებები ბ. მინისტრო—ფალიანი) გარდა უფლებებისა, ბ. ფალიანო, არსებობს მოვალეობანი. (ს. ნიკოლაძე: გახსოვდეთ ეს!) ისინი ასრულებენ იმ საქმეს, რომელიც მათ დაკისრებული ჰქონდათ, თქვენ კი ლაპარაკობთ, რომ უწყებაში ჩაკლა მათი თვით-მოქმედება. და თუ ეს მართალია, ბრძანეთ, როგორ გაკეთდა ამდენი საქმე? გაკეთებულია თითქმის იმდენი, რაც გააკეთა ძველი მთავრობამ დროის 120 წლის განმავლობაში.

ეხლა უფლებებზე. მე ერთხელ კიდევ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ მოსამსახურენი ადმინისტრაციის საქმეებში ჩაერიონ. დანარჩენზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ [illegible] ვერ იტყვის, რომ მათი მო

თანოვნილებმა, რომელსაც მქონდა სართიზული საბუთი, არ დაუკმაყოფილებინოს. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა და რომ ისინი ერევიან ადმინისტრატიულ საქმეებში, ამ მე მაქვს რამდენიმე მაგალითები ამის დამამტკიცებელი. ქართულიაზს დეპეშებს: ამ მაგ. ზუგდიდში როგორ დეპეშას გზავნის კავშირის გამგეობა. ზუგდიდი. ფოსტის ათისთავს. შეეკითხეთ მოხელე წულაიას — სურს თუ არა იქნეს დანიშნული განყოფილების უფროსად ლიხაურში. შედეგი მაცნობეთ. (ს. კიდია: რევოლიუციონურ ნიადაგზე სდგას?) ეს რევოლიუციონური ნიადაგი არ გახლავთ. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა ეს კითხვა უარყვეს. ამ მეორე ეგზავნება ლ. ხობში განყოფილების უფროსს: მაცნობეთ, სურს თუ არა მოხელე დოფუანაშვილს იქნეს დანიშნული განყოფილების უფროსად ლიხაურში. და სხვა ასეთები. ეს ჩვენ სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია. თქვენ, ბ. დადიანო, მოძახებთ, რომ ამ კავშირს არ სურს ადმინისტრაციის დანიშვნის საქმეში ჩარევა, თქ კი სწორედ ადმინისტრაციის დანიშვნას თხოულობს. ეს კი ასუხბითად რეაქციონური მოვლენაა და ჩვენ ეს მიუღებლად მიგვაჩნია. მე ამით იმის თქმა არ მინდა, რომ საუკეთესო გარკვეული ჩვენი მოხელეთა უფლება მოგვალოდოთ, ჩვენ მართლაც გადავწყვიტეთ შევადგინოთ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთათვის განსაკუთრებული ინსტრუქცია მათი სამინისტროსთან შეთანხმებით, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოხერხდა. მარტო სამინისტრო იმუშავებს კოლექტიური ხელშეკრულებას და ის წარედგინება დამფ. კრებას. მაშინ ეს საგალდებულო იქნება მთავრობისათვისაც. სოც. ფედერალისტების წარმომადგენელს ჰკვირს, რომ დღემდე არ არის შემუშავებული დებულებები მილიციისა, ერობისა, და სხ. ჩვენ ჯერ არც ბიუჯეტი და არც კონსტიტუცია არ გვინდიხილავს, არა თუ ამიტომ, რომ ამის სურვილი არ მქონდა დამფუძნებელ კრებას, არამედ, როგორც მოგეხსენებათ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს მოუყვება, რომელსაც სხვა სახელმწიფოებში შესაფერი მაგალითიც კი არ გვქონია, დიდ და ძნელ საქმეს წარმოადგენს, ამიტომ ვერც ერთ მთავრობას ნაკლათ ვერ ჩაეთვლება ეს გარემოება. ჩვენ ვიმუშავებთ მილიციის და საერობო დებულებებს და ვფიქრობთ, რომ ეს წარედგინება დამფუძნებელ კრებას შემოდგომის სესიაში. (შენიშვნა: როდემდის იქნება დამფუძნებელი კრება?) იქნება მანამ, სანამ დამფუძნებელი კრება მოისურვებს. (შენიშვნა: ცენტრალური კომიტეტის სურვილი?) ცენტრალური კომიტეტის სურვილი არაფერ შუაშია. რაც შეეხება იმ ბრალდებას, რომელიც აქ განაცხადეს, რომ ბოროტმოქმედებები ხდება და თქვენ ყურადღებას არ აქცევთო, მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ სწორედ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ამ ბოროტმოქმედებებს, ეს იმით მტკიცდება, რომ ჩვენ უპირველეს ყოვლისა შევეცადეთ ადგილობრივ თვითმართველობის ხელში გადაგვეცა ადმინისტრაცია. ის შესაფერ ზომებს იღებს და გადაჭრით უნდა განვაცხადო, რომ თუ მართლა გსურთ ფაქტების წამოყენება, ერთი რომ აუცილებლათ უნდა შენიშნოთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბოროტ-მოქმედებას ყურადღება არ მიქცეოდა. იყო ზოგიერთი შემთხვევები, რომელშიაც ჯერ არ არის დამტკიცებული და მათ შესახებ გამოძიება სწარმოებს: ამ თუნდაც არაქელა ოქრუაშვილის შესახებ გამოძიება სწარმოებს ჩვენ არ ვიცით მართლა ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული, თუ არ ჩაიდინა, ამას სასამართლო გამოარკვევს, არ ვიცით ისიც, იმ მოხელემ მართლა სცემა თუ არა. ყოველ შემთხვევაში მას პასუხი მოეთხოვება თანახმად კანონისა.

აქ ნათქვამი იყო, რომ რამოდენიმე მაზრაში გყავთ ძველი მოხელეებიო. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ სადაც ისინი არიან, ყველგან ერობის მიერ არიან არჩეულნი, ადგილობრივ თვითმართველობა დარწმუნებულია, რომ ეს ხალხი გამოსადეგია დემოკრატიულ წყობილებისათვის და თუ მართლაც ამას ფიქრობს, რა უფლება აქვს სამინისტროს ეს არჩეული პირები სრულიად უმიზეზოდ გადააყენოს. (შენიშვნა: ფ. ჩუღლია ვისგან არის დანიშნული?) თუ ქალაქის თვითმართველობის მიერ. (შენიშვნა: კიდია?) ამ სწორედ რამოდენიმე დღის წინათ, გზათა დეპარტამენტის დირექტორი მეუბნებოდა, რომ როგორც კედია მსახურობდა, რომ ის ინახავდა რევოლიუციონერებსო. (შენიშვნა: თავშენახული კაცი ყოფილა). არ ვიცი თავშენახული იყო თუ არა, ყოველ შემთხვევაში ის არ გამოსულა ჩვენს წინააღმდეგ და რომ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა, ეს მან მეტჯერ დაგვიმტკიცა (შენიშვნა: მახარაძე?) ისიც თავის მოვალეობას ასრულებს. თქვენ ისიც უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ საქმით ხალხი არა გვყავს, არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელმაც არ გამოიყენოს ძველი მოხელეები. მაგრამ თქვენ პარტიაში დღესაც ირიცხება ანაკლიის ამკლები მამფარია, რომელმაც ამდენი დანაშაული ჩაიდინა, ამწიოკა მთელი დაბა, გამოიწვია ძარცვა-გლეჯა, ასეთი პირი თქვენ პარტიის მეზობელ ადგილზედაც გყავთ. თქვენ მოგეხსენებათ მოხელეებს სამინისტროში და გვითხოვენ: არჩევნების დროს მაინც გაუშვათო. სწორედ თქვენი გამოსვლები უპირველეს ყოვლისა საარჩევნო კამპანიით იყო გამოწვეული. სამინისტრო არც ერთი დანიშვნის დროს არ ხელმძღვანელობს პარტიული თვალსაზრისით, ჩვენს სამინისტროში მე არ ვიცი არც ერთი სოციალ დემოკრატი, გარდა პირველი მდივნისა.

არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ჩვენ გაგვეცა ისეთი ბრძანება, რომელიც მოასწავებდა რამეს ჩარევას ზუგდიდის არჩევნებში. ჩემი ამხანაგი მეუბნებოდა, რომ რაც მან ვისცა ასეთი ბრძანება ზუგდიდის კომისარის მიმართ, რომ მიეღო ცნობა, თითქოს ადმინისტრაცია არჩევნებში ერევა და მე გიბრძანებ ამ 5 სტრაცამ ხელი კაი დაიცვას კანონი და კანონიერ უფლებებს არ გადასცილდესო.

ჩვენ ვერთხელაც არ ვცდილობთ, რომ მოხელეთა მოგვეხმარა ჩვენი უფლება, მაგრამ თუ თქვენ მაინც ამბობთ, რომ, ადმინისტრაცია ერევაო, ეს ამიტომ, რომ თქვენ იქ არჩევნებში სასტიკად დაზარცხდით. თქვენ ხშირად ლაპარაკობთ, რომ 105 დეპუტატი იხიტის არის, რომ ადმინისტრაცია ღებდა არჩევნებში მონაწილეობასა, მაგრამ ამას დასამტკიცებლათ თქვენ ვერც ერთი მაგალითი ვერ მოიყვანეთ და ვერც მოიყვანთ, ხოლო თუ იქნება რაიმე გადამეტება უფლებისა, ყოველ შემთხვევაში ასეთი ადმინისტრაციის წინააღმდეგ უდავოდ და კატეგორიულ ზომებს მიიღებს მთავრობა. თქვენ იცით ქრთამი ადმინისტრაციის წინააღმდეგ იმიტომ, რომ მას ეწინააღმდეგება გადაჭარბება თქვენი დახარეკბება. ეს თქვენ ვერ შეძლებთ ვერც წინეთ და ვერც დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ შემდეგშიაც ვერ შესძლებთ მოახერხოთ დამფ. კრებას ადმინისტრაცია ისეთ ორგანიზაციით, რომელიც ეყრდნობა კანონიერების მახვილს და მას მიგვირავ თვითნებობის ეგზემპლარის (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს შ. ნოცუბიძემ, რომელმაც ახალი ფაქტებით გაიმეორა მანამდე სოც. სამინისტროს წინააღმდეგ და ბ. ანაკვერმეილმა, რომლის სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ. კამათი 3 ს. გაგრძელდა. გაგრძელება კამათისა გადაიდო შემდეგ დღისათვის.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 24 ოქტომბერს შესდგა მუშტაიდის კლუბში ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ ორგანის. წევრთა საერთო კრება ამხ. მიხა ძამაშვილის თავმჯდომარეობით. კრება, როგორც მუდრეკელ მოწვეული, გამოცხადებულ იქნა კანონიერათ. დესწრო 500 წევრამდე. დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოქმედება მოვალეობა ხუთი თვის განმავლობაში—1 ენკენისთვიდან 1 ოქტომბრამდე; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) კოლექტივის ახალი წევრების არჩევნები; 4) მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარება.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს კოლექტივის მდივანი ამხ. გ. ფოფხაძე. მომხსენებელი კრებას უთითებს შემოსავლის წყაროებზე და იძლევა სრულ სურათს ორგანის. ფინანსიური მდგომარეობისას: შემოსავლის— ნაშთი 1-ლ ენკენისთვეს 15 473 მ. 51 კაპ. ერთდროულა შემოსავალი გადასახადი 637 მან., საწევრო გადასახადი 22,200 მ., შემოწირულობა 1015 მ., საწევრო ბილეთებიდან 1121 მან. 50 კ., მოედები განცხადებებიდან 1222 მ., თფილისის კოლექტივიდან 6 დაბრუნებული ვალი 4,000 მ., მ. რკინის დაბრუნებული ნისია 946 მ. სულ შემოსავალი 31,141 მ. 50 კ. ნაშთით 46 615 მ. 01 კ.

გასავალი: საკანცელარიო ხარჯები 24 მან., სასტუმრო ხარჯები 325 მ., ჯამაგირი მოსამსახურეებს 13 350 მ., ქვაზთი თფილისის კომიტეტს 10,000 მ., ტრამვაის ხარჯი 396 მან., ინვენტარი 470 მ. საპროცენტო გადასახადი თფილისის კომიტეტში 6250 მანეთი, მოულოდნელი ხარჯები 405 მანეთი 65 კაპეიკი. საწევრო ბილეთები 800 მანეთი, მთავარ სახელოსნოების ქვე-კოლექტივს დროშის შესაძენათ—1000 მან. დახმარება დახოცილ ამხანაგების ოჯახობას —2,000 მან. სულ—35,020 მან. 65 კ. ნაშთი 1-ლ ოქტომბერს—11,594 მან. 36 კ. მ. კასაში რჩება საწევრო მარკები —1,784 ცალი—5,352 მან., საწევრო ბილეთები—160 ცალი—800 მან., მისაღებია თფილისის კომიტეტიდან—6,000 მან. ვალი. წევრთა მდგომარეობა: რაიონში ირიცხება 1 ოქტომბერს—3,431 წევრი; მათ შორის კაცი—3365, დედაკაცი—66; ეროვნებით—ქართველი—3084; რუსი—122, სომეხი—160, გერმანელი 21; ოსი—16, პოლონელი—11, ებრაელი—2; ესტონი—2; თათარი—10; ბერძენი—1; ლეკი—1; იტალიელი—1; ლატვიელი—1.

პროფესიით—ხანდაზმული მუშები—70; მაწვეტებელი—7; ბეჭდი ქალი—2; ფურშელი—5; მოწიფე—13; ფოტოგრაფი—4; მილიციონერი—30; ფეჩური—20; ტუნნელი—11; ნოქარი—5; ფარმაცევტი—3; მუზეუმიერი—3; კოოპერატორი—2; აფთეკარი—3; დასახელოსნი—16; ხელოსნები და მუშები—3 207.

ორგანიზაციულ მუშაობის სფეროში, ამბობს მომხსენებელი, კოლექტივს ახალი არა შეუტანია რა, გარდა იმისა, რომ რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ქვე-კოლექტივს წევრები დაჰყო „ათეულებათ". კოლექტივი ცდილობს წევრები ორგანიზაციულად უფრო შეკრათ მეთაურებით და ორგანიზაციის შინაგანი ცხოვრებისადმი სათანადო სიმაღლეზე დაყენებით... რაიონში ითვლება სამი ქვე-კოლექტივი: მთავარ სახელოსნოების—1,500 წევრამდე — დეპოსი—600 წ. საქ. და სახალხო სადგურებიდან —900 წევრი. დანარჩენი 431 პარტიულ იდეურ მუშაობის მხრივ კოლექტივი თავის სხდომაზე არჩევდა დილეურ საპარლამენტო პოლიტიკური ხასიათის კითხვებს. კოლექტივს მჭიდრო კავშირი აქვს გაბმული ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებთან ს. დ. ფრაქციებთან, სადაც კოლექტივს გადაჰქონდა გასარჩევად ეკონომიური ხასიათის კითხვები და ამ გზით გადამუშავდა კლასის ეკონომიურ მოთხოვნილებებს. კოლექტივს მიუღია მხურვალე მონაწილეობა დეპოს და მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეების პროფ. კავშირის გამგეობის და ამავე მუშა მოსამსახურეების ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში. ფინანსიურ ჩვენი პარტიის ჩამოყალიბებისათვის ს. ხელმწიფოს შექმნაში. ადგილობრივ ორგანიზაციებს იძულებული არიან ამას ანგარიში გაუწიონ და პოლიტიკურ-ეკონომიურ კითხვების გარჩევის დროს გამოიყენონ დემოკრატიის თავითა ხელების ასრით. ამ ამის გამო, რომ წინანდელი პარტიულ-კლასიური მუშაობა მიმდინარეობს სუსტად. კოლექტივს ხუთი თვის განმავლობაში უნდა ჰქონდოდა 22 სხდომა. აქედან შესდგარა 16 ჯერ. 6 ჯერ სხდომა არ შემდგარა. ყველა სხდომებს საერთოთ დასწრებია 220 წევრი. საშუალო თითო სხდომაზე მოდის 13 წევრი 21-დან.

კულტურულ მუშაობის მხრივ კოლექტივს მოეწყობინებინა სამჯერ ლექცია. ერთხელ მსმენელების დაუსწრებლობის გამო ლექცია არ შემდგარა. საქ. და სახალხო სადგურების ქვე-კოლექტივს მოეწყობილა აქვს სისტემატიური ლექციები კითხვა პარტიული გაზეთის „ერთობა" რაიონში ვრცელდება 150 ცალამდე — აქედან 55 ცალს იწერენ დილიერად საქონლის სადგურის მუშები—დანარჩენი სადღეგ დეპოს და მთავარ სახელოსნოებში.

ჩვენი მუშაობა ხუთი თვის განმავლობაში არ იყო უნაკლო, შეცდომებიც გვქონდა—ამბობს მომხსენებელი, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი ცხოვრება აღორძინებულია, ჯერ ნორმალურ კალაპოტში არ ჩამდგარა—ამასთან ჩვენი საუკეთესო ძალები სახელმწიფო შენობაში არიან გაწვეულნი—იმას დაუმატებ კიდევ მუშათა კლასის ნივთიერი გაჭირვებული მდგომარეობა—კოლექტივმა გააკეთა იმდენი—რის გაკეთება შეეძლო აღნიშნულ პირობებში. ათავებს მომხსენებელი თავის მოხსენებას...

მოხსენებისდამი შეკითხვების შემდეგ—აკეთებს მოხსენებას სარევიზიო კომისიის წარმომადგენელი ამხ. თ. მეგრელიშვილი, რომელიც აღნიშნავს კოლექტივის მოღვაწეობაში ტეხნიკური ხასიათის შეცდომებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ შეცდომებს ადგილი აღარ ჰქონდეს. სარევიზიო კომისია კმაყოფილია კოლექტივის მოქმედებით, შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მიიღეს მონაწილეობა ამხ. დ. ხარაიშვილმა, დ. ლორთქიფანიძემ, გ. პელიძემ, ხაბურზანიშვილმა და სხვ. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ კოლექტივს დღევანდელ პირობებში მეტის გაკეთება არ შეეძლო. ამხ. ხარაიშვილი უკმაყოფილოა კოლექტივის იდეური მუშაობით. აღნიშნულ საკითხის შესახებ კრებამ მიიღო სარევიზიო კომისიის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია: მოისმინა რა ს. ს. დ. მ. პ. პირველ რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებამ მოხსენება აღნიშნულ რაიონულ კოლექტივის ხუთი თვის განმავლობაში მოქმედება-მოღვაწეობის შესახებ, კრება გამოსთქვამს კმაყოფილებას და გადადის შემდეგ საკითხზე.

შემდეგ კრება შეუდგა კოლექტივის, თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნებს. კოლექტივში არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: 1) გ. მახარაძე, 2) მ. ძამაშვილი, 3) დ. ლორთქიფანიძე, 4) გიორგაძე ილია, 5) პელიძე გაბრიელ. 6) ქუთათელაძე კ., 7) ჰელტურია ან., 8) ახობაძე ფ., 9) მეტრეველი ნ., 10) ნიკურაძე ივ., 11) ასათიანი ერ., 12) ჩელიძე ნიკო, 13) ნარიმანიძე ვ., 14) დარეცხალიშვილი ის., 15) ჯიბლაძე ნ., 16) გოლენიძე ეფ., 17) მეგრელიშვილი თ., 18) სალუქვაძე რ., 19) დოლიძე ს., 20) ქუტალაძე კ., 21) ქუტალაძე ელისაბედი, თფილისის კომიტეტში: 1) გიორგაძე ილია, 2) ლორთქიფანიძე დავით, 3) მაჭარაძე კოლია, 4) მანჯგალაძე ილია და 5) მახარაძე გიორგი.

სარევიზიო კომისიაში, 1) ნაზარიშვილი, 2) ვაშაკიძე ვასო, 3) ქურული ვიგო. მეოთხე კრებას გამოაქვს დადგენილება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ, რომ რკინის გზის მუშა მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის ცენტრალური კომიტეტთან ს. დ. ფრაქციამ მიიღოს საჭირო ზომები, რომ მუშა-მოსამსახურეებმა გადადონ თავის ჯამაგირიდან ერთი დღის ქირა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ. ამასთანავე ს. ს. დ. მ. პარ. პირველ რაიონულ ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება მოუწოდებს ყველა მუშებს გადადონ თავის წლიური ანაწილ მინინაპუსზე თავის კასიდან ამ წამსვე შეაქვს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ხუთი ათასი მან. (5,000 მ.).

მდივანი.

მუშათა შორის

თფილისი. 26 ოქტომბერს, ამხ. ხერხეულიძის თავმჯდომარეობით მოხდა საერთო კრება ხორცის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სადამხო სექციისა. განსახილველი იყო მოხსენება წლიური ანგარიშების შესახებ და არჩევნები გამგეობისა. კრებამ დაამტკიცა ანგარიშები და შემდეგ ირჩია გამგეობაში შემდეგი პირები: ამხ. ხერხეულიძე—თავმჯდომარე, რომანოვი მდივანიძე—ხაზინადარი და წევრები: გიორგი აბაშიძე, ივანე რამაძე, მ. ამაშიძე, დიმიტრი ნაბეჭდურიძე და ვანო მათიაშვილი.

თხელი.

—

ნავთლუღი. 23 ოქტომბერს მოხდა ქალაქის საჩაქარის მუშა მოსამსახურეთა საზოგადო კრება, ამხ. მ. გოგინაშვილის თავმჯდომარეობით. განსარჩევი იყო საკითხი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა შესახებ. მოხსენება გააკეთა ამხ. გოგინაშვილმა, რომელმაც მოუწოდა კრებას თავისი წვლილი შეეტანა და დაზარალებულთა სასარგებლოთ. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და დაადგინა: გადასცეს ამ მიზნისათვის ერთი დღის ჯამაგირი და აგრეთვე საზოგადოს ყველა მუშა-მოსამსახურეების ერთი დღის ხელფასი მერე.

აღმ. კომ. მდივ. ა. ბოკერია.

—

ორთაჭალის კლუბი. გაზეთ „ერთობის" № 28-ში ორთაჭალის კლუბის ქართულ წარმოდგენების შესახებ მოთავსებული იყო გაკვრით წერილი. წერილის ავტორი უსაყვედურებს ადგილობრივ ინტელიგენციას, რომლებიც გაურბიან საზოგადო მოღვაწეობას.

დიახ, მეც ვეთანხმები გოგის და ვფიქრობ, რომ გაურბიან, მაგრამ... ამას გასამართლებელი მიზეზები აქვს. პირობებმა შეგიძლია, უმეტეს სიტყვებით ერთი მეორის მიმართვა და მეორის გაუგებრობა, აი მიზეზი!..

წარსულ წარმოდგენაზე, სახელდობრ, „არსენაში", გიორგ წარმოდგენა დაიწყებოდა ვაიმართა სცენის მოწყობილი ტანისამოსი ოთახში ლევინის პიესის ზოგადოებრივი, ლევინი საჭეკ ბოთლების ჩახი ჩუხი და ისე დათვრენ, რომ ერთი მეორეს ვერ სცნობდნენ, ქამრის მივიდა საქმე, რომ მეორე მოქმედების დროს ერთმანეთს რიგიანად დაუნთეს გვერდები და ღანძღვა-გინება ხომ კარგათ ამშვენებდა კულისებს. აი მიზეზი უთანხმოებისა!.. ძნელია ასეთ პირობებში მუშაობა!

მე კერძოთ ვისურვებდი და ვეთხოვედი კლუბის გამგეობას, რათა გაეწმინდა სცენა ზემოხსენებულ ელემენტებისაგან და მაშინ საზოგადოების საქმეები წავიდოდა კარგათ და წყნარათ.

გაბო.

პროვინციაში

ზემო-ვანი (ქართლი). ამ დღეებში ვანის ეროვნისა და კავშირის მეთაურობით გახსნა კოოპერატიული სასადილო „მუყდრის ოჯახი". სასადილოში ყოველიფერი მოწყობილი, არის ელექტრონის განათება და სხვა. სასადილოს უმთავრესი მიზანი მუშა მოსამსახურეებს და მოსულ პირებს მიაწოდოს სუფთა და იაფფასიანი სადილები.

აღსანიშნავია, რომ სასადილოს გამგეობამ ვანში მოაწყო პურის ცხობა კოოპერატიულ ნიადაგზე. ვანში გამომცხვარი პური ღირდა გირვანქა—13 მანეთი, ეხლა კი, რომელსაც პურის ცხობა კოოპერატიულად მოეწყო—პური ღირს 10 მანეთი ვერ. გამგეობას განზრახული აქვს საყასბოც კოოპერატიულ ნიადაგზე მოაწყოს, რომ ამით მშრომელი ხალხი დაიხსნას სპეკულიანტების ბრჭყალებიდან.

მიუხედავათ იმისა, რომ ვანში მდიდარია სურსათ-სანოვაგით, აქ შეიძლება შიმშილიდაც კი მომკვდარიყო კაცი. ამის მიზეზი თავ იჩენული სპეკულიაცია იყო. მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, დღეის იქით ამას ადგილი არ ექნება. ამხანაგები—ქ. ლომიძე, ან. გალუსტაშვი და გრ. ჩაჩანიძე, რომელთაც საზოგადოებამ მიანდო ზემოთ აღნიშნულ საქმეების კოოპერატიულ ნიადაგზე მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა, ენერგიულად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუშა მოსამსახურეები და ფართო საზოგადოება ამ გზით განთავისუფლებული იქნება მალე გაუმაძღარ სპეკულიანტების ბრჭყალებიდან.

ხარადელი.

—

საჩხერე. 23 ოქტომბერს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა ხმოსნის გარეშე მიწის ძვრისაგან გაჩინმდელ უბედურების გამო.

თავმჯდომარემ ი. კაკაბაძემ აცნობა ხმოსნებს გორში მოხდარი უბედურება და მოუწოდებს ხმოსნებს ფეხზედ ადგომით პატივი სცენ მიწის ძვრის მსხვერპლთ. ხმოსნებმა ფეხზედ ადგომით პატივი სცეს.

შემდეგ ქალაქის თავი დ. მაჭელაძე აცნობებს ხმოსნებს გამგეობის დადგენილებას და ითხოვს საბჭოსაგან გორის დამხმარე კომიტეტის შექმნას, 50 000 მანეთი დახმარებას საბჭოდან დამხმარე კომიტეტის განკარგულებაში გადაცემით, გორიდან მიღების დაზარალებულთა 30 სულის ქალაქის ხარჯზედ შენახვის და 200 სულის კი მთავრობის ხარჯზედ მიღების. მიღებულია იქნა გამგეობის დადგენილებები. მიღებულ იქნა ს.-დ. ფრაქციის თავმჯდომარის ა. კოპაძის წინადადება: გადაეგზავნოს დეპეშა ქ. გორის თვითმართველობის თანაგრძნობის. ი. კაკაბაძე ამბობს, რომ ჩვენ მთავრობისა თავმჯდომარის დეპეშა, სადაც ნათქვამია მთავრობის დახმარება წყლის ზღვარით, საჭიროა ხალხი დაეხმაროს. ერთდროული დახმარებით გორი ვერ აღსდგება, საჭიროა საბჭომ გამოსთქვას სურვილი, რომ მოხდეს თვით ხალხის დაბეგვრა და გადასახადებიდან ერთი მათ ხელფასის განაწილება პროცენტი. ეხლავე დადგენილება ეცნობოს ქალაქთა კავშირს საერთოდ ქალაქებში გაგზავნილად. უკანასკნელი დამატებითი წინადადება იქნა მიღებული. დასასრულ არჩეული იქნა კომიტეტის წევრები: თავმჯდომარეთ გ. დუნდუა, წევრებათ ა. დევიძე, გ. შანიძე და რ. ნანეიშვილი.

საჭიროა ყველა ქალაქების თვითმართველობები გამოთქვამდნენ სურვილს თვით დაბეგვრისას გორის აღსადგენად და სოლოვდენ ქალაქში კავშირის საერთო დადგენილების გამოტანას დასახმარებლად.

X.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „თეთრგალი"

თბილისის შუა რიცხვებში გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „თეთრგალი." მონაწილეობენ: ქ. რატიშვილი, შ. ჯავახიშვილი, გ. ქარსიაშვილი, ამილეხი, ა. შ. და ვრამი თეთი. ჟურნალი პირველ ნომერშიდან ნაბიჯის ახალგაზრდა მწერლების მიერ სალიტერატურო ასპარეზზე გადადგმული, და როგორც ჩვეულებრივად პირველი ცდა ეს გამოსვლაც ხასიათდება სისუსტით და მიმბაძველობით. ახალგაზრდა დეკადენტები უკრიტიკო გატაცებით გამოუკიდებიან ჩვენი ლიტერატურის ახალ მიმდინარეობას. გადამეტებით შინაგან ფორმა და წერის მანერა. მაგრამ ეს გადამეტებული მიმბაძველობა მშირად წრეს სცილდება და მარიულის ხასიათს ღებულობს. მიუხედავად ხსენებულისა, ჟურნალში მაინც არის ყურადსაღები ხაზები. ყველაზე მეტი თავისებურობის სურვილი ამ ჯგუფში ეტყობა ქ. რატიშვილს, მისი ლექსების ზოგიერთ სტრიქონებში უფრო პოეტური განცდა მჟღავნდება. შ. ჯავახიშვილი თავის „ფერქოთი ნაწარმში" გალაქტიონ ტაბიძით სუნთქავს, ამავე დროს მას სრულიად არ ეხერხება ტრიოლეტების წერა. მისი ტრიოლეტები ძალდატანებით შეკავშირებული ხაზებია. და რითმებიც მეტად მიიკოჰდება. შ. გარსიაშვილი და ა. შ. უპირატესნიათ პროზაიკებში. ჯგუფს აზრად ჰქონია ჟურნალის ყოველ თვეურად გამოცემა და იმ თავის სახელით მონათლულა, რა თავშიაც ის გამოვა. აზრი ორიგინალურია.

—?—

საჩქაროდ
იყიდება
50 ცალი „ჰერტა" მისამართი: მიხეილის (პლეხანოვის) ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5) მანახიძის ბინა 9—12 ს. 4—7 ს. (662—5—5)

ექიმი
დიმ. კონსტ. მე ერისთავი
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ელექტრობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების შეჭრის და ნერვიული სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოდე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—26. (154—თ.)

ექიმი დ. ნ. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ელექტრო თეატრის ახლო.

ექიმი
პ. ზ. ფართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 91 ½ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

პეტროგრადის მედიცინის ქალთა ინსტიტუტის და მოსკოვის [illegible] კლინიკების
ვ. ვ. მებრაგიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ბავშვის და ქალისა. იღებს რენტგენის ელექტრო-სამკურნალო კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. [illegible] დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 22, ტელეფ. 7—32. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს აქმობს უფასოთ. (თ 616)

ექიმი
ზ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5— საათამდე, გარდა კვირისა. [illegible] ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის ახლო. (348)

ექიმი შ. ვ. [illegible]
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 61. (სათავადაზნაურო ახლოს) ტელეფ. 14—30. (თ.—2662.)

ჩამოვიდა
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების, ქალების აგრეთვე „ტუბერკულინით" და „ფოსფორამით", ვენერიული: სიფილისი და მისი შეშხაპუნება—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიზაშვილის [illegible] (კვ. 69)

კერძო სამკურნალო
ამ. ლორხინისა
(შინაგანი სნეულებანი) მიხ. ქ. № 141 ტელეფ. 5—97 (სამხედრო საავადმყოფოს წინ კინო-თეატრ „ამოლონის" გვერდით). ყოველნაირი სნეულებანი ავადმყოფების მიღება ხოლო [illegible] (თ. 318)

თვალის ექიმი
ზ. მ. ჩხეიძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმერელების ქუჩა № 11. [illegible] (თ. 3322)

ექიმი ს. ს. [illegible]
ვენერიული სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914", ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 23.

[illegible] № 1.